პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 56 (11969)
ოთხშაბათი
8
მარტი
1961 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

საბჭოთა ქალებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის გამო

ძვირფასო ამხანაგო ქალებო! საბჭოთა ხალხის სახელოვანო ქალიშვილებო, კომუნიზმის აქტიურო მშენებლებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ და მოგილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს, მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა ერთიანობისა და სოლიდარობის დღეს.

მიმდინარე წელს საბჭოთა ხალხი 8 მარტის დღეს აღნიშნავს დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ მომავალი XXII ყრილობით. ჩვენი თვალწინ სამშობლოს ყოველ კუთხეში ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პარტიის ყრილობის აღსანიშნავად, შვიდწლედის მესამე წლის — 1961 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრებაში ებმებიან ასობით და ათასობით სამრეწველო საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივები, მილიონობით მშრომელი. ამ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში ღირსეულად მონაწილეობენ ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ქალები.

მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა ქალები ერთსულოვნად და მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც დასახა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობის პროგრამა. პლენუმის გადაწყვეტილებებში მკაფიოდ გამოვლინდა კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისათვის, მისი მისწრაფება კიდევ უფრო ლამაზი და სასიხარულო გახადოს საბჭოთა ხალხის ცხოვრება, მოკლე ვადებში უზრუნველყოს პროდუქტების სიუხვე, რომლებიც საჭიროა საბჭოთა ადამიანების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის.

თავისი შემოქმედებითი შრომით საბჭოთა ხალხმა მტკიცე საუძვლები შექმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ჩვენმა მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1960 წლის გეგმა. შვიდწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში დავალების გადამეტებით გამოშვებულია 11 მილიარდ 300 მილიონი მანეთის (ახალი ფასებით) წარმოების საშუალებანი და მოხმარების საგნები.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მთელ რიგ რაიონებში არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში 1960 წელს წარმოებული და შესყიდულია მეტი მარცვლეული, ვიდრე 1959 წელს. შარშან 6,7 მილიონი ჰექტარით გადიდდა ნათესი ფართობები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს და ცდილობენ გაუტოლდნენ მოწინავეებს მიღწევებში, გაიაღეს მზადება მინდვრის სამუშაოებისათვის, რათა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეტი პროდუქტები მისცენ ჩვენს სამშობლოს.

განუხრელად უმჯობესდება ჩვენი ხალხის კეთილდღეობა. იზრდება მუშათა და კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი. ჩვენს ქვეყანაში გასულ წელს დამთავრდა ყველა მოსამსახურის გადაყვანა შემოკლებულ — შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე. ისტორიაში პირველად მიღებულია და ხორციელდება კანონი მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმების შესახებ, შვიდწლედის დაწყებიდან ქალაქებსა და მუშათა დაბებში მშრომელებმა მიიღეს 165 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ 4 მილიონ 600 ათასი ბინა, ხოლო სოფლად კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ ამ წლების მანძილზე აიშენეს 1 მილიონ 400 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

მრავალსფეროვანი რაკეტისა და ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის შექმნამ და პლანეტა ვენერისაკენ წარმატებით გაშვებამ ერთხელ კიდევ ცხადყო მთელი მსოფლიოს წინაშე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის შესანიშნავი მიღწევები.

და ჩვენი სამშობლოს ყველა ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს და შეაქვთ საბჭოთა ქალებს.

საბჭოთა კავშირში ქალები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, სამეურნეო, მეცნიერულ და კულტურულ ცხოვრებაში. მათ თვალსაჩინო როლი შეასრულეს ოდინ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. უდიდესი შრომა მოახმარეს მათ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. მთელ ხალხთან ერთად ფრონტზე და ზურგში ისინი მეგრად და თავდადებით ჰეროვდნენ ფაშიზმზე გამარჯვებას დიდი სამამულო ომის პერიოდში და ქმედითს მონაწილეობას იღებდნენ მისი მძიმე შედეგების ლიკვიდაციაში. ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა მთელი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდშია კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე, საბჭოთა ქალები მთელ თავიანთ ძალღონესა და ცოდნას ახმარენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს, მტკიცედ იბრძვიან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ, რომ პარტიამ და ხალხმა აღზარდეს ახალი ქალები — თავისუფალი და შეგნებული მებრძოლნი კომუნიზმისათვის, თავიანთი სამშობლოსა და თავიანთი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონნი. კომუნისტური შრომისათვის შესანიშნავი მოძრაობის მონაწილეთა რიგებში, რომელიც განასახიერებს ახალი საზოგადოების ადამიანის მშვენიერ თვისებებს, ღირსეული ადგილი უჭირავთ საბჭოთა ქალებსაც. -ხაყოველთაო-სახალხო აღიარება მოიპოვეს მოწინავე მუშა და კოლმეურნე ქალებმა, რომლებმაც ასახელეს ჩვენი ქვეყანა შრომითი მიღწევებით, კომუნიზმის იდეებისადმი უსაზღვრო. ერთგულებით. მათ შორის არიან ვიშნი ვოლოჩაევა მრთველი ვალენტინა გაგანოვა, ივანოვოს მქსოველი იულია ვეჩეროვა, უკრაინის სსრ ტერნოპოლის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ევგენია დოლინიუკი, ომსკელი მეღორე ტატიანა პერეშეკოო, მეღორე ლიტვის სს რესპუბლიკაში ონა ბაგდონაიტე და ბევრი სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ძირეული ცვლილებები მოხდა მეფის რუსეთის ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების ქალთა ცხოვრებაში. ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის, ფეოდალებისა და ბაების ხელში წარსულში დაბეჩავებული და უუფლებო მონები — შუა აზიის, ყაზახეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ქალები გახდნენ ახალი საზოგადოების თანასწორუფლებიანი და თავდადებული მშენებლები. პატივისცემა და დიდება მოიპოვეს თავიანთი შრომით ხალხის საკეთილდღეოდ საბჭოთა აღმოსავლეთის ქალებმა. ნოვატორობის საუცხო მაგალითი ბამბის კრეფაში გვიჩვენა უზბეკმა კოლმეურნე-მექანიზატორმა თურუსუნოი ახუნოვამ. მას უკვე ათასობით მიმბაძველი გაუჩნდა. მათ შორის არის აზერბაიჯანელი კოლმეურნე — ბამბასაკრეფი მანქანის მძღოლი კოკსარ მეხტიევა. სომხეთში სახელი და პატივისცემა მოიპოვა დიდი ჭველადობით მწველავმა აშხენ ავეტისიანმა.

წარმოების ნოვატორ ქალთა გამოცდილება თვალნათლივ მოწმობს, თუ როგორ იზრდება ქალთა აქტივობა კომუნისტურ მშენებლობაში.

განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში — ყველგან ნაყოფიერად, დიდი ენთუზიაზმით შრომობენ ჩვენი ქალები.

საბჭოთა ქალების თვალსაჩინო დამსახურებას სამშობლოს წინაშე დიდად აფასებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. სამოცდათექვსმეტ ქალს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 2.874 ქალს — სოციალისტური შრომის გმირის წოდება, მათგან 24 დაჯილდოებულია მეორე ოქროს medlით „ნამგალი და ურო“. საბჭოთა ქალებს მიღებული აქვთ 1.143.898 ორდენი და მედალი.

მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ხალხის რჩეულთა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის 366 ქალია. 2.500-ზე მეტი ქალი არჩეულია მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოებში. მილიონობით ქალი მონაწილეობს პარტიული, პროფკავშირული, ახალგაზრდობის, ქალთა, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ბევრი რამ გააკეთეს ქალთა შრომის პირობებისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის. წლითიწლობით იზრდება ასიგნებანი სოციალურ-კულტურული საჭიროებებისათვის, განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, სოციალური უზრუნველყოფისათვის. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დასახმარებლად. ფართოვდება სამშობიარო სახლების, სბავშვო ბაღების და ბაღების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და პიონერთა ბანაკების ქსელი. მარტო 1961 წელს სბავშვო ბაღებისა და სბავშვო ბაღების შენახვისათვის ბიუჯეტის სახსრებიდან გამოიყოფა 1 მილიარდ 200 მილიონ მანეთზე მეტი, ანუ 16,4 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. მიმდინარე წელს სბავშვო ბაღებსა და ბაღებში იქნება 4.740 ათასი ბავშვი, მნიშვნელოვნად ფართოვდება სკოლა-ინტერნატების ქსელი. 1961 წლის დამლევისათვის სკოლა-ინტერნატებში ისწავლის და აღიზრდება 1 მილიონი ბავშვი ანუ 67 პროცენტით მეტი, ვიდრე 1960 წელს.

ჩვენს ქვეყანაში პატივისცემით სარგებლობს ქალი-დედა. საბჭოთა სახელმწიფო დიდად აფასებს ქალების დაუცხრომელ შრომას ბავშვთა აღზრდისათვის. 65 ათასზე მეტ ქალს მინიჭებული აქვს „გმირი დედის“ წოდება, 7 მილიონამდე ქალი დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენებით და მედლებით „დედობის მედალი“.

საბჭოთა ქალების უდიდესი პოლიტიკური და კულტურული ზრდის, მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში მათი წარმატებების საგულისხმო მაგალითი აღფრთოვანებს, ხელს უწყობს ახალი ცხოვრების მშენებლობაში ყველა სოციალისტური ქვეყნის გმირ მშრომელ ქალებს.

საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის ყველა ქვეყნის გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას — ყველაზე ჰუმანურ და სამართლიან საზოგადოებას დედამიწაზე — შეუძლია განახორციელოს ქალთა სრული განთავისუფლება, უზრუნველყოს მათი თავისუფლება და თანასწორობა, თავიდან აიცილოს ჩაგვრა, უმუშევრობა და სიღატაკე, დასახოს მათ წინაშე ტალანტების ზრდისა და აყვავების, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი.

ეს დიადი მაგალითი ახალ ძალებს მატებს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელ ქალებს სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. იზრდება და ფართოვდება ქალთა მამაცური ბრძოლა კოლონიური მონობის, ექსპლუატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი საარსებო უფლებებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის.

ყველა ქვეყნის ქალები განსაკუთრებული ენერგიით იბრძვიან მშვიდობისათვის, ომისა და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანა, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა მათ მიაჩნიათ მშვიდობის განმტკიცებისათვის მედგარ და თანმიმდევარ მებრძოლებად, მხურვალედ იწონებენ სსრ კავშირის წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციის შესახებ. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებით, მათი მიმართვით მსოფლიოს ხალხებისადმი საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ქალები იძენენ ახალ ძალებს იმისათვის, რომ აღკვეთონ იმპერიალისტ აგრესორთა ცდები, რომლებიც მიმართულია ომის გაჩაღებისაკენ, იძენენ რწმენას, რომ ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთ და უზრუნველყოთ მტკიცე მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ჩვენი დიდი სამშობლოს ძვირფასო ქალებო, ჩვენო ამხანაგებო ბრძოლასა და შრომაში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ქალები კვლავაც კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში იქნებიან, რომ ისინი ჩვენი ლენინური პარტიის XXII ყრილობას აღნიშნავენ ახალი წარმატებებით შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნისა და საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის გრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ქალები — მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კიდევ უფრო აქტიურად განმტკიცებენ მეცნიერების კავშირს პრაქტიკასთან, უფრო სწრაფად დანერგავენ სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებსა და წარმოების მოწინავეთა გამოცდილებას, ყოველ ღონეს იხმარენ, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილება ყველა მუშისა და სოფლის მშრომელის კუთვნილება გახდეს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სჯერა, რომ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკი ქალები კიდევ უფრო უნარიანად და მტკიცედ გამოიყენებენ თავიანთ ცოდნას, თავიანთ ნიჭს იმისათვის, რომ გაადიდონ მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობა, განამტკიცონ მათი ჯანმრთელობა, აღწარდონ მოზარდი თაობა შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის ყველა ქალს კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლონ მშვიდობის განმტკიცებისათვის, განამტკიცონ მსოფლიო მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიანობა და შეკავშირება ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის დიადი იდეალების განხორციელებისათვის.

დაე წმიდა დედობრივმა სიყვარულმა ალაფრთოვანოს ყველა ადამიანი მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ჩვენი შვილების ნათელი მომავლისა და ბედნიერებისათვის, გონებისა და სამართლიანობის გამარჯვებისათვის საბრძოლველად!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებსა და სამეურნეო ორგანოებს ყოველი ღონე იხმარონ, რომ მშრომელმა ქალმა სავსებით გამოიყენოს საბჭოთა დემოკრატიის დიადი მონაპოვარნი. მუდამ იზრუნონ დედა-ქალებისათვის, მეტი ყურადღება მიაქციონ ოჯახსა და სკოლას შრომისმოყვარე, განათლებული, შეგნებული, საშშობლოსა და კომუნიზმის საქმის ერთგული მოზარდი თაობის აღზრდაში.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!

პატივი და დიდება საბჭოთა ქალებს — დაუცხრომელ მშრომელებს, კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლებს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს, რომელიც წარმატებით უკაფავს კაცობრიობას გზას კომუნიზმისაკენ!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ინდუსტრიული ურალის სოფლის მეურნეობა უფრო სწრაფი ჯემპებით უნდა ვითარდებოდეს

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ურალის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ქალაქ სვერდლოვსკში 1961 წლის 2 მარტს

ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება 1961 წლის ოქტომბერში მოწვეულ იქნას პარტიის მორიგი XXII ყრილობა და შეიმუშავა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ფართო პროგრამა. იწონებს რა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მთელი ჩვენი ხალხი აჩაღებს შეჯიბრებას პარტიის ყრილობის აღსანიშნავად, შვიდწლედის მესამე წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

სკკპ XXII ყრილობა თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, კომუნისტური მშენებლობის ისტორიაში. როგორც ცნობილია, ყრილობამ უნდა მიიღოს ლენინური პარტიის ახალი პროგრამა — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა. ეყრდნობა რა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის დიად გამოცდილებას, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამარჯვებებს, ჩვენი პარტია მტკიცე რწმენით მიუძღვის ხალხს კომუნისტური საზოგადოების აშენების მარქსისტულ-ლენინური იდეების განხორციელების გზაზე. **(ტაში).**

მარქსისტ-ლენინელები, განსაზღვრავდნენ რა სოციალიზმის აშენების ამოცანებს, ყოველთვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, მისი საწარმოო ძალების აღმავლობას, ხალხის მასების კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებასა და ახალი ადამიანების — სოციალიზმის აქტიური მშენებლების აღზრდას. ჩვენი ქვეყნის ხალხები პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებდნენ და ახორციელებენ მძლავრი მრეწველობის შექმნისა და ქვეყნის ელექტროფიკაციის, მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების, მეცნიერების და კულტურის განვითარების ლენინურ გენერალურ ხაზს. ამ ლენინურ გზაზე ჩვენ მოვიპოვეთ წარმატებანი და გამარჯვებანი, რომელთა ბადალი ისტორიას არ ახსოვს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ეკონომიკისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა ზრდამ საშუალება მოგვცა დაგვეძლია ჩვენი ქვეყნის საუკუნეობრივი ეკონომიური ჩამორჩენილობა, გადაეკეცა იგი მსოფლიოს ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოდ, უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ მოკლე ისტორიულ ვადაში გადაეჭრათ დიდი ლენინის მიერ დასახული ამოცანა, — დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ურალის მშრომელთა წვლილი ჩვენს საერთო საქმეში

ამხანაგებო! საერთო-სახალხო ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის შესანიშნავი წვლილი შეიტანეს ურალის მშრომელებმა, მისმა გმირმა მუშათა კლასმა, სოფლის მშრომელებმა, მისმა მრავალრიცხოვანმა ინტელიგენციამ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახე იცვალა ჩვენმა ქვეყანამ, სახე იცვალა ძველმა ურალმაც, რომელმაც გამოავლინა და ხალხის სამსახურში ჩააყენა თავისი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები.

აქ წარმოიშვა სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტები — მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი, ქარხანათა ქარხანა — ურალის მანქანათმშენებლო ქარხანა, ნიჟნი ტაგილის კომბინატი და ბევრი სხვა. აქ სწრაფი ტემპებით ვითარდება ნავთობის ჭრეწველობა— ბაშკირეთის რესპუბლიკას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში ნავთობის მოპოვების მხრივ. ურალში შეიქმნა მსხვილი ქიმიური მრეწველობა, აშენდა მანქანათმშენებლო ქარხნები, მათ შორის სატრაქტორო, საავტომობილო და ბევრი სხვა.

თანამედროვე ურალს სამართლიანად უწოდებენ საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიის ერთ-ერთ ბასტიონს. დიდია ურალის მრეწველობის ხვედრითი წონა მთელი ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში. ურალის ქარხნები აღნობენ ერთ მესამედ თუჯსა და ფოლადს და აწარმოებენ ერთ მესამედ ნაგლინსა და მეტალურგიულ მოწყობილობას. ურალის რაიონებში იღებენ 26 პროცენტ რკინის მადანს, 20 პროცენტ ნავთობს და აწარმოებენ ჩვენი ქვეყნის მთელი ელექტროენერგიის დაახლოებით 20 პროცენტს.

კიდევ უფრო გრანდიოზული პერსპექტივები ისახება ურალის ინდუსტრიის წინაშე უახლოეს მომავალში. პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია საწარმოო ძალების მძლავრი განვითარება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში, რომელთა შორის ურალს საპატიო ადგილი ეკუთვნის.

თქვენმა რაიონებმა კვლავაც უნდა შეინარჩუნონ წამყვანი როლი რუსეთის ფედერაციაში შავი და ფერადი ლითონების წარმოებისა და ძმიმე მანქანათმშენებლობის მხრივ. შვიდ წელიწადში მიღწეულ უნდა იქნას მნიშვნელოვანი ზრდა ნავთობის, ქიმიური, სატყეო მრეწველობის წარმოებასა და ენერგეტიკაში.

ურალის მეტალურგები და მანქანათმშენებლები, მენავთობეები და ქიმიკოსები, ენერგეტიკოსები და მექვანაზშირეები გვიჩვენებენ შესანიშნავ მაგალითებს ტექნიკური პროგრესისათვის, მრეწველობის უმდიდრესი რეზერვების გამოყენებისათვის ბრძოლაში. ისინი არაერთხელ გამოსულან ბევრი პატრიოტული წამოწყების მოთავეებად სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში ურალის რაიონების მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდა 22 პროცენტით. შვიდწლედის მესამე წელიც ურალელებმა მთლიანად საკმაოდ წარმატებით დაიწყეს. საერთო პროდუქციის იანვრის გეგმა შესრულებულია 100,4 პროცენტით, წარმოების მოცულობა 1960 წლის იანვართან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა. ურალის ბევრი საწარმო გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს, პირნათლად ანაღდებს პირობას შვიდწლედის ვადამდე შესრულების შესახებ. **(ტაში).**

მაგრამ როცა ვლაპარაკობთ თქვენს წარმატებებზე მრეწველობაში, არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი ზოგიერთ ნაკლსაც. ჩელიაბინსკის, ბაშკირეთისა და უდმურტეთის სახალხო მეურნეობის საბჭოების მრეწველობამ რამდენადმე ვერ შეასრულა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების იანვრის გეგმა. თებერვლის წინასწარი მონაცემები აგრეთვე გვიჩვენებენ, რომ ურალელებმა სამრეწველო წარმოების ზოგიერთ უბანზე უნდა გააუმჯობესონ მუშაობა. თქვენ უნდა გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ ურალის მრეწველობა უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ბევრ ეკონომიურ რაიონთან.

ურალელთა საქარხნო მარკა ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნისას ბევრჯერ მომისმენია მაღლობის სიტყვები ურალის მშრომელებისადმი იმ მანქანებისა და მოწყობილობისათვის, რომლებსაც ისინი აწვდიან მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს, აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნებს, რომლებიც ახლა თავიანთ ეროვნულ მრეწველობას ქმნიან. **(ტაში).**

მახსენდება, ამ ერთი წლის წინათ ბჰილაიში, ინდოეთის რესპუბლიკის მეტალურგიული გიგანტის დათვალიერების დროს ინდოელი ინჟინრები და მუშები ძმურად აღნიშნავდნენ იმ დახმარებას, რაც მათ გაუწიეს ურალის ქარხნებმა თანამედროვე ეროვნული ინდუსტრიის შექმნაში.

ურალის ზონაში შემავალი ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ამ თათბირზე ჩვენ დიდი კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ გმირული შრომა ურალის მუშათა კლასისა, ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციისა, რომლებიც განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, დიდი წვლილი შეაქვთ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულების საქმეში. **(მჭუხარე ტაში).**

მივესალმებით რა ურალელი მუშების შრომითს წარმატებებს, გვინდოდა ხაზგასმით აღგვენიშნა, რომ მათს მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაჭრაში.

ნება მიბოძეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მხურვალედ მივესალმო სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, ორენბურგის, პერმისა და კურგანის ოლქების, ბაშკირეთისა და უდმურტეთის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეებსა და ყველა მშრომელს და ვუსურვო ყოველ თქვენგანს წარმატებანი დიდ შრომაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ სოფლის მეურნეობა თავის განვითარებაში ჩამორჩებოდეს ჩვენი მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპებს, არ შეიძლება დავუშვათ, რომ სოფლის მეურნეობა მხარდამხარ არ მიჰყვებოდეს მრეწველობას. ეს პირდაპირ ეხება თქვენს რაიონებსაც. ურალის მრეწველობის კარგ სახელს ურალის სოფლის მეურნეობის კარგი სახელიც უნდა დავუმატოთ **(ტაში).**

ამისათვის თქვენ ყველა შესაძლებლობა გაქვთ. ურალის ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევიან წარმატებით განვითარდეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები და უკვე უახლოეს ხანში მკვეთრად გადიდდეს წარმოება მარცვლეულისა, ხორცისა, რძისა, შაქრის ჭარხლისა შაქრის მრეწველობისათვის და პირუტყვის საკვებად, კარტოფილის, ბოსტნეულის, სელისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პროდუქტებისა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახლა აღჭურვილი არიან ბევრად უკეთესი ტექნიკით, ვიდრე წინათ. თქვენში არის ბევრი მოწინავე კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, წარმოების შესანიშნავი ნოვატორი, რომლებიც თავიანთი მაგალითით გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ პრაქტიკულად თქვენს პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ დონეს.

ურალზე უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, მიღწეულია გარკვეული წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს დიდი მუშაობა, რაც გამოწვეულია ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

ურალის რაიონებმა 1954-დან 1960 წლამდე აითვისეს 4 მილიონამდე ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები, აქედან: ორენბურგის ოლქში ათვისებულია 1 მილიონ 673 ათასი ჰექტარი **(ტაში)**, ჩელიაბინსკის ოლქში —873 ათასი ჰექტარი **(ტაში)**, კურგანის ოლქში — 602 ათასი ჰექტარი **(ტაში)**, ბაშკირეთის რესპუბლიკაში — 564 ათასი ჰექტარი **(ტაში)** და სვერდლოვსკის ოლქში — 105 ათასი ჰექტარი. **(ტაში).**

ამით ურალის რაიონებში შესაძლებელი გახდა მარცვლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის მნიშვნელოვნად გადიდება. თუ 1953 წელს მთლიანად ურალის რაიონებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 267 მილიონი ფუთი მარცვლეული, 1960 წელს მათ მიჰყიდეს 396 მილიონი ფუთი, ანუ 129 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1953 წელს. **(ტაში).**

მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვა ურალის სამ ოლქში, რომლებმაც ყამირის ყველაზე დიდი მასივები აითვისეს, შემდეგი ოდენობით გაიზარდა:

	მიყიდულია პური ხუთ წელიწადში 1949-1953 წ წ.	მიყიდულია პური ხუთ წელიწადში 1956-1960 წ წ.
	(მილიონობით ფუთი)	
ორენბურგის ოლქი	213	573
კურგანის ოლქი	180	258
ჩელიაბინსკის ოლქი	159	259

ამრიგად, უკანასკნელ ხუთ წელიწადში სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვამ წინა ხუთ წელიწადთან შედარებით შეადგინა: ორენბურგის ოლქში — 269 პროცენტი. **(ტაში)**, ჩელიაბინსკის ოლქში — 163 პროცენტი. **(ტაში)** და კურგანის ოლქში — 144 პროცენტი. **(ტაში).**

ეს მონაცემები ურალის ყამირ რაიონებში მარცვლის წარმოების ზრდაზე, ისევე როგორც მონაცემები ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებზე, სადაც ათვისებულია ყამირი მიწების მთავარი მასივები, დამაჯერებლ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ბინსკის ოლქში — 120 ათასი ჰექტარი, კურგანის ოლქში — 120 ათასი ჰექტარი, ბაშკირეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 100 ათასი ჰექტარი.

ურალის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ერთგვარი წარმატებები მოიპოვეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დარგშიც. მაგალითად, ხორცის დამზადება (ცოცხალი წონით) ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1953-დან 1960 წლამდე შემდეგი ოდენობით გაიზარდა:

	1953 წელი (ათასობით ტონა)	1960 წელი
სვერდლოვსკის ოლქი	27	91
ჩელიაბინსკის ოლქი	20	62
ორენბურგის ოლქი	41	100
პერმის ოლქი	22	71
კურგანის ოლქი	29	90
ბაშკირეთის ასსრ	50	116
უდმურტეთის ასსრ	13	41
რძის დამზადება გადიდდა:		
სვერდლოვსკის ოლქი	121	279
ორენბურგის ოლქი	149	352
ჩელიაბინსკის ოლქი	111	288
პერმის ოლქი	87	205
კურგანის ოლქი	120	319
ბაშკირეთის ასსრ	149	399
უდმურტეთის ასსრ	47	142

ამრიგად ხორცის დამზადება თქვენს ზონაში შვიდი წლის მანძილზე ერთიორად-ერთისამად გადიდდა, ხოლო რძისა — ერთიორად-ორნახევარჯერ.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მეცხოველეობის პროდუქტების, განსაკუთრებით ხორცისა და რძის წარმოება თქვენი ზონის რაიონებში კვლავ დაბალ დონეზეა. საშუალოდ ურალის რაიონებში ას ჰექტარ მიწაზე წარმოებულია ხორცი დაკლული წონით ყველა კატეგორიის მეურნეობებში 17 ცენტნერი, ხოლო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 9 ცენტნერი, რძე ყველა კატეგორიის მეურნეობებში — 141 ცენტნერი, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 72 ცენტნერი.

ურალის რაიონები ხორცისა და რძის წარმოებაში საშუალოდ რუსეთის ფედერაციაში ამ პროდუქტების წარმოების დაბალ დონესაც კი ჩამორჩებიან. ურალის რაიონებს კი ფრიად ხელსაყრელი პირობები აქვთ მეცხოველეობის, აგრეთვე მეფრინველეობის განვითარებისათვის. თქვენი ზონის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ თქვენ მოკლე ვადაში შეგიძლიათ მკვეთრად გაადიდოთ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება და სავსებით უზრუნველყოთ ურალის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე. **(ტაში).**

პარტიის სოლქო კომიტეტების, სოლქო აღმასკომებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ უწინარეს ყოვლისა, რომ თვითონ კარგად იცოდნენ სოფლის მეურნეობა, ისწავლონ ნოვატორებისაგან, მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან. როცა კარგად ეცოდინებათ საქმე, საუკეთესო მეურნეობების გამოცდილება, ისინი შეძლებენ არ დასჯერდნენ ზოგად მოწოდებებს, არამედ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით უჩვენონ, თუ როგორ მიაღწიეს მოწინავე მეურნეობებმა კარგ წარმატებებს მარცვლეულის, სასილოსე სიმინდის, ხორცის, რძის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში, ასწავლონ მათ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადებისა და რგოლების მაგალითით.

ეს შესაძლებლობას მისცემს როგორც საოლქო, ისე რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფრო მტკიცედ და გულდაჯერებულად იგრძნონ თავი სოფლის მეურნეობაში ახალი, მოწინავე მიღწევებისათვის ბრძოლაში. ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ მტკიცედ და განუხრელად განახორციელონ პარტიის ხაზი. ხელმძღვანელმა ფარხმალი არ უნდა დაყაროს ჩამორჩენილი განწყობილებების წინაშე, იმ ადამიანების წინაშე, რომლებსაც უნარი არ შესწევთ უზრუნველყონ შემდგომი წინსვლა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების აღმავლობის გზაზე.

ხომ ჩამორჩენილ ადამიანსაც არ მიაჩნია თავი ჩამორჩენილად, ისიც ცდილობს განმარტოს თავისი შეხედულებანი, სურს მონახოს მიზეზები და მართლაც ხშირად ნახულობს კიდევაც: ხან ტრაქტორები არ ჰყოფნის, ხან მინერალური სასუქები აკლია, ხან წვიმა უშლის ხელს, ხან წვიმა არ ყოფილა, ხან მზემ დააცხუნა, ხან კიდევ რაღაც დაბრკოლება აქვს. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ერთი სიტყვით, თუ კაცს უნდა მონახოს თავისი უძლურების მიზეზები, არ იტყვის, უძლური ვარო, არამედ ყოველთვის დაუწყებს ძებნას ობიექტურ მიზეზებს თავისი სისუსტის გასამართლებლად.

მაგრამ ხომ სწორედ იმავე მიწებზე თანაბარ პირობებში მოწინავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ნოვატორები, რომლებსაც უნარი აქვთ დაამსხვრიონ ყოველივე ძველი, დრომოჭმული, რაც კი ერნაღმდეგობას უწევს და ხელს უშლის წინსვლას,— ჩვენი მოწინავენი შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ. სწორედ ამ მოწინავე ადამიანებს უნდა ვეყრდნობოდეთ ჩამორჩენილი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც თვითონ ჩამორჩნენ და ცდილობენ სხვები დაარწმუნონ თავიანთი პოზიციის სიმართლეში, სურთ დააკანონონ თავიანთი ჩამორჩენილობა.

ჩვენ ვიცით, რომ სოფლის მეურნეობას მეტი მანქანები, მეტი მინერალური სასუქები სჭირდება. ყოველივე ეს თქვენ გჭირდებათ. მაგრამ როცა ახალი მანქანები მოგვიკეთ, როცა შევძლებთ მეტი მინერალური სასუქები მოგაწოდოთ, მაშინ თქვენს წინაშე დაისახება კიდევ უფრო დიდი ამოცანები, საჭირო იქნება გადალახოთ უფრო მაღალი ბარიერები, ამხანაგებო. ხომ ასეა?

ხმები. სწორია!

მაგრამ მანქანები რომ მიიღო, მინერალური სასუქები რომ მიიღო, წარმოების დონე კი ძველებური დატოვო, ამისათვის, როგორც იტყვიან, დიდი ჭკუა არ არის საჭირო, მაშინ კაცს საფიქრებელიც არაფერი ექნება. **(ტაში).**

ადამიანის ნიჭი, მისი უნარი — მოაწყოს მუშაობა — ყველაზე უკეთ იჩენს თავს იმით, თუ როგორ შეუძლია გამოიყენოს არსებული შესაძლებლობანი, დაძლიოს სიძნელენი და მოიპოვოს წარმატება.

აქ არიან მოწინავენი, შესანიშნავი ადამიანები. მე დიდი სიხარულითა და დიდი სიამოვნებით მოვისმინე მათი ნაამბობი, თუ როგორ აღწევენ წარმატებას თავიანთ შრომაში. მათ აღმაფრთოვანეს და კიდევ უფრო განმიტკიცეს რწმენა, რომ ასეთი ხალხით შეიძლება ურალის მთებიც კი შევძრათ! **(მჭუხარე ტაში).**

კარგი ხელმძღვანელი, კარგი კომუნისტი-რევოლუციონერი არ დაელოდება, სანამ დამატებით მიიღებდეს ტექნიკას ან სხვა საშუალებებს; იგი იბრძოლებს უფრო დიდი მიღწევებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში, იმ მატერიალურ ბაზაზე დაყრდნობით, რომელიც ახლა გვაქვს. ხოლო როცა მოვა დამატებითი საშუალებანი, ეს კი უეჭველად მოვა, მას მომზადებული ექნება საფუძველი შემდგომი წინსვლისათვის, უფრო მაღალი ზღუდეების აღებისათვის. **(ტაში).**

მოწინავეთა გამოცდილება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების აღმავლობის გზაა

ამხანაგებო! როცა განვიხილავთ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ ზონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაჩვენებლებს, უნდა ვითვალისწინებდეთ თვითეული ზონის კონკრეტულ პირობებს, მის შესაძლებლობებსა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს, მისი შემადგენლობის ცვლილებებს, მშრომელთა შემოსავლის გადიდებას და მყიდველობითი უნარის ზრდას.

ავიღოთ, მაგალითად, თქვენი ზონის რაიონების მოსახლეობის შემადგენლობა. ურალის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობა 18 მილიონამდე შეადგენს, აქედან ქალაქის მოსახლეობა — 10 მილიონ 800 ათას კაცს, ანუ 60 პროცენტს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ უდიდეს ოლქებში ქალაქის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტია. მაგალითად, სვერდლოვსკის ოლქში ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 80 პროცენტს და ჩელიაბინსკის ოლქში —77 პროცენტს. მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი ურალის სახალხო მეურნეობაში 1940 წლის 2 მილიონ 470 ათასიდან გაიზარდა 5 მილიონ 890 ათასამდე 1960 წელს, ესე იგი ერთიორად და უფრო მეტად.

სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს კარგად რომ ესმოდეს, რომ საჭიროა საკმაოდ უზრუნველყოთ ქალაქების მშრომელები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ისინი არ დაუშვებდნენ ძალღონის შესუსტებას მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, არ დაუშვებდნენ შეფერხებებს ქალაქების მომარაგებაში ისეთი პროდუქტებით, როგორიც არის ხორცი და რძე.

თქვენი რაიონები მაღალგანვითარებული რაიონებია მრეწველობის მხრივ. საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობაც დიდად მექანიზებული იყოს, და ამ ამოცანის გადაჭრაში სოფლის მეურნეობის მშრომელებს დიდი დახმარება უნდა გაუწიოს ურალის მრეწველობამ.

თათბირზე ბევრი გამოსულნი, განსაკუთრებით მეცხოველეები, ლაპარაკობდნენ, რომ მათ სჭირდებათ ტრაქტორები, საკვების დასარიგებელი, ნაგებობათა გასასუფთავებელი მანქანები, სჭირდებათ საწველი აპარატები და სხვა მექანიზმები, რომლებიც შეამსუბუქებენ ადამიანის შრომას, კიდევ უფრო ნაყოფიერს გახდიან მას. ეს სწორია. ახლა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია თუ არ განვახორციელეთ, ისე შეუძლებელია სწრაფი წინსვლა. განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ახლა თქვენში ძლიერ მაღალია მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება, და იგი მაღალი დარჩება, თუ ყველაფერი ხელით აკეთეთ. მაგალითები, რომლებიც აქ გამოსულ ამხანაგებს მოჰყავდათ, დამაჯერებლად გვიჩვენებენ, თუ როგორ უზრუნველყოფს მექანიზაცია ხორცისა და რძის თვითღირებულების მკვეთრად შემცირებას.

მე უკვე მოვიყვანე მონაცემები თქვენი ზონის რაიონების მიხედვით ხორცისა და რძის წარმოების შესახებ. სურათი, როგორც ყველასათვის ცხადია, არც თუ სახარბიელოა. ხორცისა და რძის წარმოების დაბალი დონის შედეგად თქვენი ზონის მოსახლეობის მოთხოვნილებანი ამ პროდუქტებზე ადგილობრივი რესურსებით მთლიანად ვერ კმაყოფილდება. მაგალითად, სვერდლოვსკის ოლქში 1960 წელს ხორცის სახელმწიფო შესყიდვამ შეადგინა 61 ათასი ტონა დაკლული წონით, ხოლო მოსახლეობის მომარაგებისათვის სახელმწიფო რესურსებისა და ადგილობრივი წყაროებიდან დახარჯულია 134 ათასი ტონა. ამრიგად, სახელმწიფო შესყიდვამ ოლქის ქალაქის მოსახლეობის ხორცით მომარაგებაში შეადგინა ნახევარზე ნაკლები, უფრო ზუსტად მხოლოდ 46 პროცენტი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა აგრეთვე მოსახლეობის მომარაგებაში რძით.

მთლიანად ურალის ზონის რაიონებში 1960 წელს შესყიდულ იქნა 364 ათასი ტონა ხორცი და ხორცის პროდუქტები, ხოლო მოსახლეობის მომარაგებისათვის დახარჯა 403 ათასი ტონა. რძე შესყიდულია 2 მილიონ 55 ათასი ტონა, მოსახლეობის მომარაგებისათვის კი დახარჯულია 2 მილიონ 247 ათასი ტონა. ხორცისა და რძის მოხმარების ახლანდელი დონე კი არ შეიძლება საკმარისად მივიჩნიოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მდგომარეობაა არა მარტო ხორცისა და რძის წარმოების საქმეში, არამედ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაშიც. ახლა ურალის ოლქებში ბოსტნეული დიდი რაოდენობით შემოაქვთ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან. მაგალითად 1960 წელს შემოტანილი იყო ბოსტნეული: სვერდლოვსკის ოლქში — 44 ათასი ტონა, ჩელიაბინსკის ოლქში — 12 ათასი ტონა, პერმის ოლქში — 16 ათასი ტონა. რასაკვირველია, ადრეული ბოსტნეული, განსაკუთრებით ისეთი ბოსტნეული, რომელიც უპირატესად სამხრეთში მოჰყავთ, გარკვეული რაოდენობით უნდა შემოვიტანოთ. მაგრამ მეტ წილ ბოსტნეულს ადგილზე უნდა ვაწარმოებდეთ.

განა შეიძლება ნორმალურად ჩავთვალოთ ის მდგომარეობა, რომ, ერთი მხრივ, ურალში შემოაქვთ ათასობით ტონა ბოსტნეული შორეული ოლქებიდან, ხოლო, მეორე მხრივ, ურალის ოლქები ცუდად აწარმოებენ ბოსტნეულის ოვლა-მოყვანას და დაბალი მოსავალი მოჰყავთ?

1960 წელს ურალში მიღებულია ბოსტნეულის შემდეგი მოსავალი ჰექტარზე:

ჩელიაბინსკის ოლქი	— 69 ცენტნერი
პერმის ოლქი	— 84 „
კურგანის ოლქი	— 94 „
სვერდლოვსკის ოლქი	— 99 „
უდმურტეთის რესპუბლიკა	— 100 „
ორენბურგის ოლქი	— 106 „
ბაშკირეთის რესპუბლიკა	— 110 „

ურალის ოლქები სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმას ვერ ასრულებენ. შარშან სვერდლოვსკის ოლქში გეგმით გათვალისწინებული 80 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია მხოლოდ 44 ათასი ტონა, ჩელიაბინსკის ოლქში კი ნაცვლად 70 ათასი ტონისა —22 ათასი ტონა. დროა ბოლო მოვუღოთ ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორიც არის ბოსტნეულის ნაკლებობა.

ურალი სამრეწველო რაიონია. აქ ბევრია ნარჩენი სითბო. საჭიროა გამოვიყენოთ იგი ადრეული ბოსტნეულის მოვლა-მოყვანისათვის. უნდა გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისადმი, მივაღწიოთ იმას, რომ მათ უხვი მოსავალი მოჰყავდეთ და მეტ იაფ ბოსტნეულს აწარმოებდნენ, სავსებით აკმაყოფილებდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებას.

დღეს თათბირზე გამოვიდა ზ. ი. ბულანოვა—სვერდლოვსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ორჯონიკიძეს კის“ ბრიგადირი. იგი თავისი საქმის დიდი ცოდნით, პროფესიონალურად მოგვახსენებდა დახურულ გრუნტში ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის საქმეში მოპოვებულ წარმატებებზე. მისმა ბრიგადამ ყოველ კვადრატულ მეტრზე მიიღო 21,4 კილოგრამი ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14,8 კილოგრამისა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისათვის საბჭოთა მეურნეობამ სავაჭრო ქსელს მიჰყიდა 5.260 ცენტნერი საადრეო ბოსტნეული. საბჭოთა მეურნეობაში სათბურების საერთო ფართობი 9.370 კვადრატული მეტრია. მიმდინარე წლის იანვარში საბჭოთა მეურნეობამ სავაჭრო ქსელში გაყიდა 5.260 ცენტნერი ადრეული ბოსტნეული. ბრიგადას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობანი, გვაქვს ნიმუშები, გვყავს ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ურალის პირობებში დახურულ გრუნტშიც მოიყვანონ ბოსტნეულის უხვი მოსავალი. საჭიროა მხოლოდ უნარიანად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი. ბოსტნეულით მთლიანად, უხვად უნდა უზრუნველყოთ ურალის ქალაქები და სამრეწველო ცენტრები.

შესვენებისას ვესაუბრე მ. ს. მამლიუტოვას — სვერდლოვსკის ოლქის იუვენის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს. იგი, შეიძლება ითქვას, თქვენში კარტოფილის წარმოების პროფესორია. 1960 წელს ჰექტარზე მიიღო 286 ცენტნერი კარტოფილი. დაინტერესდით და გაიგეთ, თუ რომელ მკითხავთან დადის იგი და რას უჩურჩულებს მკითხავი, რომ კარტოფილის ასეთი უხვი მოსავალი მოიყვანოს. **(გამოცოცხლება დარბაზში).** რა თქმა უნდა, აქ მკითხავის არავითარი შელოცვა არ არის საჭირო. საჭიროა კარგად ვიცოდეთ ჩვენი საქმე, გვიყვარდეს იგი, ვზრუნავდეთ თესლზე, ნათესების მოვლა-პატრონობაზე, ვიცოდეთ, როგორ უნდა მივიღოთ უხვი და მყარი მოსავალი: მოგესალმებით, ძვირფასო მატრონა სტეფანეს ასულო, გისურვებ ახალ წარმატებებს. აგრეთვე ვისურვებ, რომ თქვენი გამოცდილება ფართოდ გავრცელდეს, რომ ურალელებს უხვად ჰქონდეთ კარგი კარტოფილი. **(ტაში).**

სრულიად შეუწყნარებელია კარტოფილის წარმოების შემცირება თქვენს რაიონებში. თქვენი ზონის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კარტოფილის მეტად დაბალი მოსავალი მოჰყავთ. თქვენი ზონის არც ერთ ოლქსა და რესპუბლიკას 1960 წელს არ შეუსრულებია სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 279 ათასი ტონით ნაკლები კარტოფილი, ვიდრე 1959 წელს.

ამხანაგებო! გულახდილად გეტყვით, ძნელია თავი შეიკავო უაღრესად მკაცრი სიტყვებისაგან საქმის ასეთი მდგომარეობის გამო. როგორ შეიძლება შევათავსოთ მოწოდებანი მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, კომუნიზმის მშენებლობის შესახებ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის უკიდურესად დაბალ დონესთან, იმასთან, რომ ბევრი მეურნეობა დიდხანს ერთ ადგილს ტკეპნის, ხოლო ზოგიერთმა უკანაც კი დაიწია?

წარმოების ასეთი ორგანიზაციის, ასეთი დონის დროს ჩვენ წინ ვერ წავალთ. ცხადია, რომ პასუხისმგებლობა ასეთი მდგომარეობისათვის პირველ რიგში ეკისრებათ ჩვენს ხელმძღვანელ კადრებს. ხომ თვითეულ რაიონში, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არიან ადამიანები, რომლებიც მუშაობენ იმავე პირობებში. იმავე მიწებზე, როგორც სხვა მეურნეობანი. მაგრამ მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ მემინდვრეობაშიც, მეცხოველეობაშიც, მებოსტნეობაშიც.

თქვენს თათბირზე გამოვიდნენ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ბევრი ნოვატორი, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები, სპეციალისტები და მეცნიერები. ისინი მოგვითხრობდნენ ურალის შესანიშნავ წარმატებებსა და დიდ შესაძლებლობებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

სასიამოვნო იყო მოგვესმინა სიმინდის მოყვანის ოსტატთა გამოსვლები: სვერდლოვსკის ოლქის სუხანოვის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორის ამხ. საბუროვისა, ორენბურგის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურის ამხ. კაპრალოვისა, უდმურტეთის რესპუბლიკის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირის ამხ. ნეკლიუდოვისა. მათი გამოსვლები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ურალის მიწაზე შეიძლება მივიღოთ სიმინდის უხვი მოსავალი და მის საფუძველზე უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობა. ხორცისა და რძის წარმოების ზრდა. ხომ მიიღო თვითეულმა ამ შესანიშნავმა ნოვატორმა 730-დან 918-მდე ცენტნერი სასილოსე სიმინდის მოსავალი ჰექტარზე.

პატივი და დიდება, ამხანაგებო, ურალში სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ამ პიონერებს! დაე მათს მაგალითს მიბაძოს ურალის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ათეულ ათასობით მექანიზატორმა! **(ხანგრძლივი ტაში).**

აქ მოგვითხრობდნენ საბჭოთა მეურნეობათა [illegible] კოლმეურნეობების დიდ წარმატებებზე [illegible] ხორცისა და რძის წარმოების [illegible] ხებ კარგად თქვეს თავიანთ გამოსვლებში ორენბურგის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კომსომოლსკის“ დირექტორმა ამხ. გოლოვანოვმა, ბაშკირეთის რესპუბლიკის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარემ ამხ. ზარიპოვმა, პარტიის კურგანის ოლქის პეტუხოვის რაიკომის მდივანმა ამხ. საველიევმა, უდმურტეთის რესპუბლიკის კიასოვოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მანოხინმა, პერმის ოლქის საგინსკის საბჭოთა მეურნეობის მწველავმა ამხ. შაიმარდანოვამ, ორენბურგის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ოქტიაბრსკის“ ცხვრის მპარსავმა ამხ. იაკუშევამ, ბაშკირეთის რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობის მეღორემ ამხ. პეტუხოვამ, კურგანის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მემინდვრემ ამხ. მალცევმა, ბაშკირეთის რესპუბლიკის კოლმეურნეობა „ლენინური ოქტომბრის“ მწველავმა კომკავშირელმა ლიუბა ჩიგლინცევამ, სვერდლოვსკის ოლქის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის მებოცვერემ ამხ. ხორიაკოვმა — იგი თავისი საქმის ოსტატია, მე მიველ-სალმები ამ ძალიან საინტერესო საქმეს, და თქვენ მას კარგად უძღვებით; ორენბურგის მესაქონლეობის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ხაირულინმა და სხვებმა.

ხოლო რა შესანიშნავად გამოვიდნენ აქ მოსწავლეები ალია სტეფოლოვა და ლიუდმილა დიატელი! მათს გამოსვლას რომ ისმენ, გჯერა, რომ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა ბევრ რამეს გააკეთებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. **(მჭუხარე ტაში).**

მე შესაძლებლობა არა მაქვს დავასახელო თათბირზე გამოსული ყველა ამხანაგი. მინდა ვთქვა, რომ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ყველა გამოსვლა საინტერესო და საგულისხმო იყო. იქნებ ღირს გამოვცეთ ეს გამოსვლები პატარა ბროშურების ან ფურცლების სახით, რათა ასეულ ათასობით ადამიანი უფრო დეტალურად გაეცნოს შრომის მოწინავე მეთოდებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება ბეჯითად უნდა შევისწავლოთ, უფრო ფართოდ გავუშიოთ პროპაგანდა და დავნერგოთ ურალის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პრაქტიკაში. დაე ეს ძვირფასი გამოცდილება დაეხმაროს ურალის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების დიდ საქმეში. **(ტაში).**

საჭიროა, ამხანაგო ხელმძღვანელებო, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მიმართ ქების ზოგადი სიტყვებიდან გადახვიდეთ ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობაზე უკეთესი გამოცდილების დასანერგავად ყველა მეურნეობაში, მოწინავეთა მაგალითით წამოსწიოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ახლა მთავარია ორგანიზატორული მუშაობა, ადამიანებთან მუშაობა.

ვიმეორებ ისევ იმას, რაც უკვე ვთქვი: თვით ხელმძღვანელები უნდა მივიდნენ მოწინავე მეურნეობებში, გაეცნონ მათი წარმოების ორგანიზაციას, მოუსმინონ ადამიანებს, ისწავლონ მათგან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელი თვითონ კარგად შეისწავლის შრომის მოწინავე მეთოდებს, დაინახავს გამოუყენებელ შესაძლებლობებს. იგი შეძლებს დაეხმაროს სხვებს გარდაქმნან მუშაობა. წავიდნენ იმ გზით. რომლითაც მიდიან სოფლის მოწინავე ადამიანები, წამოსწიონ ჩამორჩენილნი მოწინავეთა დონემდე და უზრუნველყონ ამ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების განუწყვეტელი ზრდა.

გავითვალისწინოთ ზონალური თავისებურებანი, ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა

ამხანაგებო! ურალის ზონა მრავალფეროვანია თავისი ნიადაგის, ჰავისა და ეკონომიკის თავისებურებებით. ეს თავისებურებანი გულდასმით უნდა გაითვალისწინოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ორგანიზაციაში.

ავიღოთ, მაგალითად, ორენბურგის ოლქი. ეს განვითარებული მარცვლეული მეურნეობის ოლქია. იგი სახელმწიფოს აძლევს 150-160 მილიონ ფუთ პურს. ამასთან ერთად იგი უნდ იყოს განვითარებული მეცხოველეობის, განსაკუთრებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და მეცხვარეობის ოლქი. ვფიქრობ, მეცხვარეები არ დამემდურებიან იმისათვის, რომ მეცხვარეობა მეორე ადგილზეა დაყენებული. ორენბურგის ოლქის პირობებში მეცხვარეობას, ისევე როგორც მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

უნდა გავადიდოთ მატყლის წარმოება. მატყლი ესაჭიროება მრეწველობას. ადამიანს უყვარს კარგი შალის კოსტიუმი. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ახლა ქიმია იძლევა კარგი ხარისხის მატყლს და მომავალში ხელოვნური მატყლის წარმოება სწრაფად უფრო და უფრო გადიდდება. აი ხორცს კი ქიმია ჯერჯერობით ვერ იძლევა. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).** ამიტომ მატყლის ნაკლებობას ქიმია შეგვივსებს, ხორცის წარმოება კი მიწაზე ხდება. ორენბურგის ოლქში კარგი პირობებია ძროხის ხორცისა და ცხვრის ხორცის წარმოებისათვის. ეს პირობები უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ.

სასაქონლო მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდი რეზერვებია კურგანის, ჩელიაბინსკის, სვერდლოვსკისა და პერმის ოლქებში, ბაშკირეთისა და უდმურტეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მარცვლეულის წარმოების შემდგომი ზრდა ურალის ოლქებში. უნდა ითქვას, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა თქვენში ჯერ კიდევ დაბალია. თქვენი ზონის რაიონების უმრავლესობა ჰექტარზე 10-11 ცენტნერ მარცვალს იღებს.

ამავე დროს კი ურალისათვის, განსაკუთრებით მისი ველიანი რაიონებისათვის, სავსებით რეალურია ამოცანა აიღონ 20-22 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე. აი თქვენი დონე, ამხანაგო ურალელებო!

ასეთი მაჩვენებლების რეალობა დადასტურებულია სოფლის მეურნეობის მრავალი მოწინავის გამოცდილებით. თქვენ ყველანი კარგად იცნობთ ტერენტი სიმონის-ძე მალცევს. იგი მრავალი წლის განმავლობაში იღებს ჰექტარზე 20 ცენტნერზე მეტ მარცვალს, უმთავრესად ხორბალს.

ამხ. მალცევს უყვარს ხორბალი და იცნობს ამ კულტურას, მაგრამ მინდა ერთი რამ ვუსურვო მას. კარგი იქნება, რომ მას ისევე შეუყვარდებოდეს სიმინდი, როგორც ხორბალი უყვარს, და თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას გამოიყენებდეს სიმინდის უხვი მოსავლის მოსაყვანად. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით ვავითარებდეთ მეცხოველეობას შადრინსკის რაიონშიც და კურგანის ოლქშიც. მეცხოველეობა შეიძლება უფრო რაციონალურად ვაწარმოოთ სიმინდის სილოსით და შაქრის ჭარხლით. ვფიქრობ, რომ ამხ. მალცევი გაითვალისწინებს ამ სურვილს და ბევრს გააკეთებს სიმინდის კარგი მოსავლის მოსაყვანად, რათა კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“, სადაც იგი მუშაობს, მოწინავე მეურნეობა გახდეს მეცხოველეობაშიც.

თქვენ, ამხ. მალცევ, რამდენადმე შეიძლება არისტოკრატი მემარცვლე გიწოდოთ. **(მხიარული გამოცოცხლება).** თქვენ იცნობთ მარცვალს, გიყვართ მარცვალი, თქვენ ჯადოქარი ხართ მარცვლეულის მეურნეობაში. მაგრამ ადამიანს მარტო პური როდი ესაჭიროება. მშრომელი კოვზი, როგორც იტყვიან, პირს ფხაჭნის, ხოლო ხმელა პური ყელში არ გადადის. **(მხიარული გამოცოცხლება).** პურთან საჭიროა შეჭამანდი, ხოლო თუ შეჭამანდი უხორცო და უკარაქოა, მასაც არა აქვს მიმზიდველი სუნი. მაშასადამე, უნდა ვაწარმოებდეთ მეტ ხორცს, ვავითარებდეთ მეცხოველეობას. თქვენთან მეცხოველეობისათვის პირობებიც კარგია. ამხ. მალცევ, თქვენ ასწავლით ადამიანებს, მოუწოდებთ აითვისონ თავიანთი აგროტექნიკა. ეს კარგია, ეს სწორია. მაგრამ თვითონაც ნუ მოსწყდებით ადამიანებს, ისწავლეთ მათგან. ეწვიეთ მოწინავეებს, რომლებსაც სიმინდი მოჰყავთ. არავისთვის სირცხვილი არ არის სწავლა. მე, მაგალითად, შესაძლებლობა რომ მქონდეს, ვესტუმრებოდი ყველა მოწინავეს, ვნახავდი მინდვრებს, მოვისმენდი მიწათმოქმედების ოსტატთა ნაამბობს მათი გამოცდილების შესახებ. ეს საუკეთესო აკადემიაა, როცა ადამიანი ცოდნას იძენს წარმოების მოწინავე ადამიანებისაგან. **(მჭუხარე ტაში).**

როცა ნოვატორი ლაპარაკობს თავისი მუშაობის მეთოდებზე, თავის წარმატებებზე, გესმის, რა ადამიანია ის, გესმის მისი აზრები, ხედავ, რის უნარი შესწევს მას. და ბუნებრივია, როცა თქვენ მოწინავესთან საუბრის შემდეგ შეხვდებით სხვა მუშაკს, რომელიც ნოვატორის დონემდე არ ამაღლებულა, ერთბაშად შეგიძლიათ შეადაროთ: აი ის კაცი შევარდენია, ეს კი ჯერჯერობით ბეღურაა, იგი დაბლა ფრენს, მას ეძნელება შევარდენივით ცაში აფრა. ჩვენ ყველაფერს უნდა ვაკეთებდეთ იმისათვის, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეტი იყოს შევარდნები, მეტი იყოს შესანიშნავი საქმეებისა და გაბედული აზრების ადამიანები. **(მჭუხარე ტაში).**

ყველა მშრომელისადმი დახმარება ახალი მწვერვალების დაუფლებაში შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ასე რომ ადამიანებთან საჭირო მომთმინებით მუშაობა, უნდა ავუხსნათ, ვურჩიოთ, როგორ შეარჩიოს ნაკვეთი, მოამზადოს თესლი, დაამუშაოს ნიადაგი. ყოველივე ეს, ამხანაგებო, უნდა შეიცნოთ, ისწავლოთ შეუპოვრად და ბეჯითად, ხოლო რაც მთავარია — შეძენილი ჩვენები და ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენოთ. ეს ეხება ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების უმრავლესობას.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში კარგ შედეგებს მიაღწია სოფლის მეურნეობის ბეღრმა მოწინავემ.

კურგანის ოლქის მაკუშინოს რაიონის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო-მემანდვრეობის ბრიგადის ბრიგადირმა ს. ა. ვოლოსნიკოვმა 750 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 26,5 ცენტნერი მარცვალი. ამხანაგებო, მე კარგად ვიცნობ უკრაინას. უკრაინელებს შეიძლება შეშურდეთ ასეთი მოსავალი, უკრაინის რესპუბლიკის ყველა რაიონს როდი შეუძლია ასეთი მოსავლის მოყვანა.

ორენბურგის ოლქის მუსტაევოს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ბრიგადირმა გ. ნ. ზაიცევმა 2.329 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 20,7 ცენტნერი მარცვლეული.

ჩელიაბინსკის ოლქის ოქტიაბრსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ მარცვლეულის საშუალო მოსავალმა 1960 წელს შეადგინა 21,2 ცენტნერი ჰექტარზე.

ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობა „სტერლიტამაკსკის“ განყოფილებაში, სადაც მმართველია ლ. პ. მოკშანცევი და აგრონომია ნ. ი. ტრუნოვი, 897 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 25 ცენტნერი ჭვავი.

პერმის ოლქში კუნგურის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ ბრიგადირმა ვ. მ. პოდოსენოვმა 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 30 ცენტნერი საშემოდგომო ჭვავი.

რატომ მოჰყავთ მოწინავეებს ასეთი უხვი მოსავალი?

თუ ავიღებთ ამხ. მალცევს, მისთვის მთავარია: მოუფესავი ანეული, ნიადაგის კარგი დამუშავება, თესლის ჯიშების სწორი შერჩევა (საადრეო და საგვიანო ჯიშების ხორბალი).

სხვა ნოვატორებს ადგილობრივი პირობების შესაბამისად თავიანთი აგროტექნიკა აქვთ. მაგალითად, ორენბურგის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადრეულ და ღრმა მზრალად ხვნას.

მაგრამ ყველა მოწინავეს ერთი საერთო რამ აქვს — მიწათმოქმედების მაღალი კულტურა, დიდი ყურადღება მეთესლეობისადმი, ყველა სამუშაოს საუკეთესო ვადებში შესრულება.

თქვენს რაიონებში ხორბალთან და ჭვავთან ერთად კარგად შეიძლება მოვიდეს სიმინდი, ბარდა, ფეტვი, წიწიბურა, საბოჭკოე სელი და სხვა კულტურები.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას, კომპლექსურ ბრიგადებს ბარდის კარგი მოსავალი მოჰყავთ. 1960 წელს სვერდლოვსკის ოლქის პიშმის რაიონში 900 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 17,2 ცენტნერი ბარდა. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ცენტნერ ბარდაში სახელმწიფო იხდის 200 მანეთს (ძველი ფულით). ამიტომ ის მეურნეობები, სადაც ბარდა კარგად არის განვითარებული, ამ კულტურით დიდ შემოსავალს იღებენ. კამიშლოვის რაიონში 1.200 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიღებულია 16,2 ცენტნერი ბარდა, ბელოიარსკოეს რაიონში — 700 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე — 15,7 ცენტნერი.

იმავე სვერდლოვსკის ოლქის ტალიცის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 21 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიღებულია 33,6 ცენტნერი ბარდა. ეს შესანიშნავი შედეგია.

აი ნიმუშები, ამხანაგებო, სვერდლოვსკის ოლქის ხელმძღვანელებო. თქვენ კი კვლავ მსჯელობთ — შეიძლება თუ არა დაითესოს ბარდა სვერდლოვსკის ოლქში.

ბაშკირეთის რესპუბლიკის კოლმეურნეობა „წითელი ბაშკირეთის“ ბრიგადირმა ამხ. შაგიევმა 1960 წელს ჰექტარზე მიიღო 29 ცენტნერი ბარდა.

მე დავასახელე მხოლოდ სვერდლოვსკის ოლქი და ბაშკირეთი, მაგრამ ალბათ უდმურტეთსა და პერმის ოლქში, აგრეთვე ურალის სხვა ოლქებშიც შეიძლება ვთესოთ ბარდა, მოვიყვანოთ მისი კარგი მოსავალი.

ურალში ექსპერიმენტის სახით საჭიროა დათესოთ წიწიბურა კვადრატულ-ბუდობრივად ან ფართომწკრივებად, რათა დავამუშაოთ ნათესები ორი ან ერთი მიმართულებით, და ამით შევინარჩუნოთ ტენი ნიადაგში, ვებრძოლოთ სარეველებს.

ურალის ბევრ რაიონში, განსაკუთრებით ორენბურგის ოლქსა და ბაშკირეთის რესპუბლიკაში, კარგად იზრდება ფეტვი.

ორენბურგის ოლქის კრასნი ხოლმის რაიონის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობამ 1960 წელს 236 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 125 ფუთი ფეტვი. მუსტაევოს რაიონის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ 530 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 140 ფუთი ფეტვი.

ბაშკირეთის ასსრ ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ტ. ფ. ფაიზრაჰმანოვის ბრიგადამ 111 ფუთი ფეტვი მიიღო 100 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე.

ჩელიაბინსკის ოლქის ჩესმის რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 110 ფუთი ფეტვი.

ფეტვი კარგი სადაზღვევო კულტურაა გვალვიან წლებში. როგორც ჩანს, საუკეთესო შედეგს იძლევა ფართო მწკრივებად ნათესი ფეტვი. აკადემიკოსმა ტ. დ. ლისენკომ ჯერ კიდევ ომამდელ დროს იკისრა დახმარებოდა ვოლგისპირეთის კოლმეურნეობებს იმაში, რომ მოეყვანათ ფეტვის ასი ფუთი მოსავალი ჰექტარზე. და ეს კიდევაც განხორციელდა. ლისენკოს რჩევით ფეტვის თესვა ფართო მწკრივებად წარმოებდა. მან შეასრულა თავისი ვალდებულება. ფართო მწკრივებად თესვა საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ნიადაგის დამუშავების მექანიზაცია, მოვახდინოთ გაფხვიერება, ვებრძოლოთ სარეველებს.

თქვენი ზონის მთელ რიგ რაიონებში წიწიბურას მოყვანის გამოცდილება აქვთ. ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვ. ნ. ორლოვმა ჰექტარზე 21 ცენტნერი წიწიბურა მიიღო. ორენბურგის ოლქის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ა. ვ. კორნაევმა 115 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 13 ცენტნერი წიწიბურა.

წიწიბურა ძვირფასი სასურსათო კულტურაა და მისი წარმოება უნდა გავადიდოთ.

მე უკვე ვურჩიე სხვებს და თქვენც გირჩევთ შეისწავლოთ წიწიბურას თესვის გამოცდილება, რომელიც შეიძინეს ვინიცის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ვ. მ. კაეუნი, და კურსკის ოლქის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის პ. მ. სტრეკალოვის ბრიგადის გამოცდილება.

კოლმეურნეობაში, სადაც ამხ. კაეუნი მუშაობს, წიწიბურას ფართო მწკრივებად ორზოლიანი წესით თესავდნენ მწკრივთა შორის 45 სანტიმეტრზე, რამაც შესაძლებელი გახადა მწკრივთაშორისების დამუშავება. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას უკვე მრავალი წელია 150 ფუთი წიწიბურა მოჰყავს ჰექტარზე, მიმდინარე წელს კი ვალდებულება იკისრა ჰექტარზე მოიყვანოს 180 ფუთი. ამხ. სტრეკალოვმა ჰექტარზე მიიღო 120 ფუთი წიწიბურა და ვალდებულება იკისრა 1961 წელს ჰექტარზე მოიყვანოს 130 ფუთი წიწიბურა. სინჯეთ და თქვენც დათესეთ წიწიბურა ასეთი წესით. ალბათ თქვენც მიიღებთ ისეთსავე კარგ შედეგებს, როგორიც ვინიცისა და კურსკის ოლქების მოწინავე კოლმეურნეობებში. ნათესებში უნდა შეიყვანოთ ფუტკარი, მაშინ არა მარტო უფრო მაღალ მოსავალს მოიყვანთ, არამედ დამატებით თაფლსაც მიიღებთ.

სიმინდი მეცხოველეობის აღმავლობის მძლავრი ბერკეტია

ამხანაგებო! მთელი თქვენი ზონისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხორცის, რძის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებას. ურალის რაიონებს მაღალგანვითარებული მრეწველობა აქვთ. სოფლის მეურნეობა საკმარისად უნდა აკმაყოფილებდეს მშრომელთა მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე.

საჭიროა მივიღოთ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ სრულად დავაკმაყოფილოთ სვერდლოვსკის, პერმის, ჩელიაბინსკისა და სხვა ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცსა და რძეზე. მეტალურგები, ქიმიკოსები, მენავთობეები და სხვა მუშები მეტ რძეს უნდა ხარჯავდნენ.

ამიტომ ერთ-ერთი გადაუდებელი საკითხია ურალის ქალაქების უზრუნველყოფა ახალი რძით. უნდა გამოვიანგარიშოთ, რა წყაროებიდან შეიძლება უზრუნველვყოთ ურალის ქალაქები ახალი რძით. როგორც ჩანს, უნდა დავადგეთ იმ გზას, რომ შევქმნათ მერძეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები უმთავრესად სიმინდისა და შაქრის ჭარხლის საფუძველზე. ეს არ ნიშნავს, რომ ასეთ მეურნეობებში მხოლოდ სიმინდი და შაქრის ჭარხალი იქნება და რომ ამ მეურნეობებმა მხოლოდ სარძეო მეცხოველეობას უნდა მისდიონ. არა, წარმოება ასეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავალდარგოვანი ან კომპლექსური უნდა იყოს. მაგრამ მთავარი ყურადღება რძის წარმოებას უნდა მიექცეს.

ზოგმა შეიძლება თქვას: რა გამოდის, გვირჩევენ განვითაროთ სარძეო მეურნეობა სიმინდის საფუძველზე, რომლის მოსავალი ჯერ კიდევ დაბალია. მართლაც, თქვენს ოლქებში სიმინდის მოსავალი ჯერ კიდევ დაბალია, მაგრამ ეს კლიმატური პირობების შედეგი როდია. ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი მუშაკი არ იცნობს სიმინდის შესაძლებლობებს, რაღაც შინაგან წინააღმდეგობასაც კი უწევს ამ კულტურას და არა სურს შეისწავლოს იგი.

ახლა სიმინდი შეიძლება შეისწავლოთ არა მარტო წიგნებით, არამედ პრაქტიკულად, თქვენი ოლქებისა და რესპუბლიკების იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც ყოველ წელს უხვი მოსავალი მოჰყავთ.

სიმინდი გაჩენილია მინდვრისათვის, საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ მისი მოვლა. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ურალში სიმინდს შეუძლია უხვ და მყარ მოსავალს გვაძლევდეს.

მოვიყვან ზოგიერთ მაგალითს ურალის სხვადასხვა ოლქებიდან და რესპუბლიკებიდან. ავიღოთ ბაშკირეთის რესპუბლიკა. დავლეკანოვოს საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტმა ამხ. ჩუკანოვმა შარშან ასი ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მოიყვანა 860 ცენტნერი სასილოსე სიმინდი. ბლაგოვარის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ამხ. ალმაევმა 107 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 920 ცენტნერი სასილოსე სიმინდი.

პერმის ოლქში მერგოლურმა ამხ. ვერზაკოვმა 30 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მოიყვანა 630 ცენტნერი მწვანე მასა.

კურგანის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კამაგანსკის“ მექანიზატორმა ამხ. ლუშნიკოვმა 120 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 700 ცენტნერი სასილოსე სიმინდი.

მე ვურჩევ ამხ. მალცევს შეისწავლოს სიმინდის მოყვანის ამ ოსტატის გამოცდილება ისევე, როგორც სხვა კოლმეურნეობები სწავლობენ ამხ. მალცევისაგან ხორბლის კარგი მოსავლის მოყვანას. **(მხიარული გამოცცინცლება, ტაში).** ვფიქრობ, რომ თქვენ სწორად გამიგებთ, ამხ. მალცევ, და საწყენად არ დაგრჩებათ ჩემ მიერ გამოთქმული სურვილები და რჩევა.

ტ. ს. მალცევი. სწორია, ნიკიტა სერგის-ძე, გავითვალისწინებ თქვენს რჩევას.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე ხომ ჩამოვედი თქვენს კოლმეურნეობაში, რომ შემესწავლა, თუ როგორ აწარმოებთ მეურნეობას. მაშ რატომ არ უნდა წახვიდეთ თქვენ სხვებთან. რომლებსაც სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავთ. **(მხიარული გამოცცინცლება, ტაში).**

ტ. ს. მალცევი. აუცილებლად ვისწავლი, ნიკიტა სერგის-ძე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. სვერდლოვსკის ოლქის ირბიტის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 1957 წელს 20 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე 1.548 ცენტნერი სასილოსე სიმინდი მოიყვანა. სამწუხაროდ, შარშან ამ კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველყო ასეთი უხვი მოსავლის მიღება.

სუხანოვსკის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტებმა ამხანაგებმა საბუროვმა და ისლამოვმა ამავე ოლქში 50 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მოიყვანეს 918 ცენტნერი და 220 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე 504 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა. ეს ძალიან კარგია, ამხანაგებო! **(ტაში).**

შესანიშნავი მესიმინდეები არიან ორენბურგის ოლქში. სევერნოეს რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ მერგოლურმა ი. ა. პიკანინმა 100 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე 830 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა მოიყვანა.

მუსტაევოს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლურმა ალექსი კალუგინმა 116 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 920 ცენტნერი სიმინდი.

უდმურტეთის ასს რესპუბლიკიდან აქ გამოვიდა ვოტკინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ მექანიზატორი ი. ა. პაზდერინი. მთელი რიგი წლების მანძილზე მას შემცვლელ ამხ. ვარლამოვთან ერთად მოჰყავს სიმინდის უხვი მოსავალი. 1958 წელს მან 127 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე 827 ცენტნერი მოიყვანა; 1959 წელს — 172 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე 815 ცენტნერი; 1960 წელს — 300 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე 600 ცენტნერი სიმინდი.

უდმურტეთის კიასოვოს რაიონის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა ალექსანდრე ნეკლიუდოვმა 109 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მოიყვანა 730 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა. იმავე უდმურტეთის რესპუბლიკაში კიასოვოს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ვავილ ნიკონოვმა 110 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 831 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა.

შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითებიც. სიმინდი თქვენს ზონაში კარგად იზრდება. საქმე დამოკიდებულია ხელმძღვანელებზე, ორგანიზატორებზე.

სიმინდი, მე ვიტყოდი, უნიშვნელოვანესი კულტურაა. რატომ ვამბობ ასე? სიმინდის საშუალებით უნდა გავადიდოთ ხორცისა და რძის წარმოება და მაშასადამე, გავუმჯობესოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. ის, ვინც სიმინდს დაეუფლება, შეძლებს მოიპოვოს კარგი წარმატებანი მეცხოველეობის აღმავლობაში. ის კი, ვინც ამ კულტურის მიმართ კონსერვატიულ პოზიციას დაიკავებს, შეიძლება ცხოვრებამ გარიყოს. (ტაში).

საჭიროა შევამუშაოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის მატერიალური წახალისების სისტემა.

ეს უკვე ითქვა სხვა ზონალურ თათბირებზე. მატერიალური დაინტერესების პრინციპის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ თქვენს თათბირზეც უნდა ვილაპარაკოთ ამაზე. ახლა კარგად უნდა მოვიფიქროთ და შევიმუშაოთ იმ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა წამახალისებელი ღონისძიებანი, რომლებსაც სიმინდი მოჰყავთ. თუ ჩვენი ყოველდღიური ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა განმტკიცდება მატერიალური სტიმულებით იმ ადამიანთათვის, რომლებსაც სიმინდი მოჰყავთ, დაინახავთ, რა ძალუძთ ჩვენს ადამიანებს. და ეს დიდმნიშვნელოვანი იქნება არა მარტო იმათთვის, ვისაც დღეს მოჰყავს სიმინდი, არამედ იმათთვისაც, ვინც ხვალ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს.

კარგი მუშაობა კარგად უნდა ავანაზღაუროთ. შრომის დამატებითი ანაზღაურების ხარჯები მალე დაიფარება. კოლმეურნე თუ საბჭოთა მეურნეობის მუშა, რომელსაც ჰექტარზე 600-700 ცენტნერი ან თუნდაც 500 ცენტნერი სიმინდი მოჰყავს, შესაძლებლობას აძლევს კოლმეურნეობას თუ საბჭოთა მეურნეობას აწარმოოს უფრო მეტი ხორცი და რძე. მაშ საჭიროა, ამხანაგებო, წავახალისოთ ამისათვის ადამიანები, მაშინ ჩვენი ქვეყანა მიიღებს უფრო მეტ ხორცსა და რძეს. ამასთან ეს პროდუქტები უფრო იაფი ეღირება. მაშასადამე, ამით მოიგებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მოიგებს მთელი საბჭოთა ხალხი. **(ტაში).**

დიდმნიშვნელოვანია არა მარტო ვახალისებდეთ მოწინავე ადამიანებს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხისათვის, არამედ ყოველმხრივაც ვავრცელებდეთ მათს გამოცდილებას.

ჩვენში, სამწუხაროდ, არიან ხელმძღვანელები, რომლებიც მოწინავეებს უფრო ხშირად ტრიბუნებზე, კრებებზე იხსენებენ. ავა ასეთი ხელმძღვანელი ტრიბუნაზე და ამბობს: შეხედეთ რა კაცი მუშაობს ჩვენს ოლქში, შეხედეთ, რა რეკორდს მიაღწიაო. აქებს ამ მოწინავეს კრებებზე, მაგალითად მოჰყავს, თვითონ კი არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ ასეთი ადამიანები ასობით, ათასობით იყონ. **(ტაში).**

არა, ამხანაგებო, ის ხელმძღვანელი როდია კარგი, რომელიც მხოლოდ სიტყვებს წარმოთქვამს ახლის შესახებ, კარგია ის ხელმძღვანელი, რომელიც, ახლის შესახებ რომ გაიგონებს, შეისწავლის ამ ახალს, დაეხმარება სხვებს დაეუფლონ შრომის მოწინავე მეთოდებს, დაეხმარება, რათა ეს ახალი მისაწვდომი გახდეს ასობით და ათასობით ადამიანისათვის. **(ტაში).**

კარგია ის ხელმძღვანელი, რომელიც ტრიბუნაზე გამოვა და იტყვის: აი, ჩვენ ასეთი მაჩვენებლები, ასეთი შესაძლებლობანი გვაქვს, მოვაწყეთ სკოლა, შევარჩიეთ ბრიგადირები, მერგოლურები, აგრონომებთან ერთად დაეეხმარეთ მათ გარკვეულიყვნენ არსებულ შესაძლებლობებში, ვურჩიეთ, რა გზით შეიძლება მივაღწიოთ წარმატებებს, და ახლა ამ ადამიანებს ისეთივე მოსავალი მოჰყავთ, როგორც ამა თუ იმ რაიონის მოწინავე ადამიანებსო. აი მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ორგანიზატორმა შეასრულა თავისი როლი, პარტიული ხელმძღვანელის როლი, საბჭოთა ხელმძღვანელის, კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელის როლი.

შესაძლოა, ზოგიერთ ამხანაგს არც თუ ისე მოეწონოს ჩემი გამოსვლის ეს ნაწილი **(ტაში)**, მაგრამ არ შეიძლება არ ვილაპარაკო ამაზე, უნდა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, მხოლოდ მაშინ შეიძლება მივაღწიოთ სასურველ შედეგებს. **(ტაში).**

ხმები. სწორია!

სამარცხვინოა, რომ ურალის ზოგიერთ რაიონში შვრიას სათივედ თესავენ შეურევლად. კურგანის ოლქში 1960 წელს სათივედ დათესილი იყო 200 ათასი ჰექტარი შვრია. ეს როდი ამშვენებს ოლქსა და მის ხელმძღვანელებს.

ჰექტარზე 10-12 ცენტნერი შვრიის თივას იღებენ. და ასეთი მოსავალიც კი საეჭვოა. ასახელებენ მიახლოებით ციფრს. არსებითად ასეულ ათასობით ჰექტარ მიწას ცუდად იყენებენ და ეს მიწა არ იძლევა იმას, რის მოცემაც შეუძლია. არ შეიძლება ასე ვუძღვებოდეთ მეურნეობას. **(ტაში).**

საჭიროა ბოლო მოვუღოთ ასეთ უვარგის პრაქტიკას. უფრო ხელსაყრელია ითესებოდეს შვრია ბარდის, ცერცველას შერევით, იმისათვის, რომ უფრო ძვირფასი საკვები მივიღოთ.

ამხანაგებო! მინდა უფრო დაწვრილებით შევეხო მეცხოველეობის განვითარებას ყამირ რაიონებში. ყამირი რაიონების საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ იმ ამოცანის გადაჭრაში, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივ.

როგორ, ამხანაგო ურალელებო, გსურთ თუ არა შეეჯიბროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხორცისა და რძის წარმოებაში?

ხმები. შევეჯიბრებით! **(ტაში).**

ჩვენ რომ შევძლებდეთ ახლა ავამოქმედოთ სოფლის მეურნეობის მთელი რეზერვები და დავიწყოთ ფართო შეტევა, მე კი მწამს ჩვენი უდიდესი შესაძლებლობანი, სულ რამდენიმე წელიწადში დავეწევით ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივ. **(ტაში).**

ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანებზე, კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებზე, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებზე, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებზე, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აქტივზე. ჩვენი შესაძლებლობანი საშუალებას გვაძლევენ წარმატებით გადაჭრათ ეს ამოცანა.

მინდა მოვიყვანო ზოგიერთი გაანგარიშება და ვთქვა, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმისათვის, რომ თვითეულმა მეურნეობამ თავისი წვლილი შეიტანოს ამოცანის გადაჭრაში — დავეწიოთ შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოებაში.

შეუძლიათ თუ არა ყამირის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს აწარმოონ 42 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე? ეს სწორედ ის რაოდენობაა, რომელიც საჭიროა გვქონეს მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, რათა დავეწიოთ ამერიკას ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოებაში. მე ვლაპარაკობ ხორცის წარმოებაზე, რადგან რძის საერთო წარმოებაში ჩვენ უკვე გავუსწარით ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე რძის წარმოებაში ალბათ უახლოეს ხანში დავეწევით.

ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში აწარმოებენ 17,9 მილიონ ტონა ხორცს დაკლული წონით, ანუ 31,6 ცენტნერ ხორცს დაკლული წონით ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ვინაიდან სსრ კავშირში მეტი მოსახლეობაა, ვიდრე ამერიკაში, ხორცის საერთო წარმოებაც ჩვენში მეტი უნდა იყოს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ დავეწიოთ ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოებაში, ჩვენ ყოველწლიურად უნდა ვაწარმოოთ 20-21 მილიონი ტონა დაკლული წონით, ესე იგი 42 ცენტნერი ხორცი ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ანუ 96 ცენტნერი ას ჰექტარ სახნავზე (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სსრ კავშირში 503 მილიონი ჰექტარია, ხოლო სახნავი — 219 მილიონი ჰექტარი).

ჩვენს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა გაადიდოს პირუტყვის სულადობა ისეთ ოდენობამდე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ აღნიშნული რაოდენობით აწარმოოს ხორცი ძროხის ხორცის, ღორის ხორცის, ცხვრის ხორცის სახით.

საქმე, მაშასადამე, საკვებზეა. შეგვიძლია თუ არა გადავჭრათ ასეთი ამოცანა პირუტყვის საკვებით ... ილეყოფის თვალსაზრისით?

შეგვიძლია, თუ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოიყვანენ საკვები კულტურების ... სიმინდისა და შაქრის ჭარხლის უხვ მოსავალს.

თუ ჩავთვლით, რომ მეურნეობა მთელ ხორცს აწარმოებს ძროხის ხორცის სახით მთლიანად სიმინდის საფუძველზე, მაშინ რამდენი ჰექტარი სიმინდი დაგვჭირდება 42 ცენტნერი ხორცის წარმოებისათვის?

მე ვვარაუდობ სიმინდის მოსავალს 400 ცენტნერს ჰექტარზე, რაც შეესაბამება დაახლოებით 300 ცენტნერ სილოსს. თუ ჰექტარზე ჩავდებთ 300 ცენტნერ სილოსს, ეს იქნება 60 ცენტნერი საკვები ერთეული. ამდენი საკვებით შეგვიძლია მივიღოთ 10 ცენტნერი ძროხის ხორცი ცოცხალი წონით, ანუ 5 ცენტნერი დაკლული წონით.

ამრიგად, ჰექტარი სიმინდი იძლევა 5 ცენტნერ ხორცს დაკლული წონით. ხოლო რომ მივიღოთ 42 ცენტნერი ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ანუ 96 ცენტნერი ას ჰექტარ სახნავზე, უნდა დავთესოთ 19,5 ჰექტარი სიმინდი ას ჰექტარ დამუშავებულ მიწაზე. თუ კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა ჩადებს არა 300 ცენტნერ სილოსს ჰექტარზე, არამედ 600 ცენტნერს, მაშინ საჭირო იქნება 10 ჰექტარი სიმინდის დათესვა ას ჰექტარ სახნავზე.

თუ ჩავთვლით, რომ წარმოებული ხორცის საერთო რაოდენობის 50 პროცენტი იქნება ძროხის ხორცი (48,5 ცენტნერი ას ჰექტარ სახნავზე), ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი ღორის ხორცი (48,5 ცენტნერი ას ჰექტარ სახნავზე), მაშინ რამდენი სასილოსე სიმინდი და რამდენი შაქრის ჭარხალი უნდა დავთესოთ მეურნეობაში?

ჰექტარი შაქრის ჭარხალი, როცა ძირების მოსავალი შეადგენს 200 ცენტნერს (გარდა ფოჩისა), იძლევა 52 ცენტნერ საკვებ ერთეულს. 52 ცენტნერი საკვები ერთეულის მიღება ნიშნავს იმას, რომ მივიღოთ 10 ცენტნერი ღორის ხორცი ცოცხალი წონით, ანუ 7 ცენტნერი დაკლული წონით. იმისათვის, რომ ვაწარმოოთ 48,5 ცენტნერი ღორის ხორცი დაკლული წონით, უნდა დავთესოთ 7 ჰექტარი შაქრის ჭარხალი და ჰექტარზე მივიღოთ 200 ცენტნერი მოსავალი.

მაშასადამე, იმისათვის, რომ ნახევარი ხორცი მივიღოთ ძროხის ხორცის სახით და ნახევარიც ღორის ხორცის სახით, უნდა დავთესოთ 9,7 ჰექტარი სიმინდი და 7 ჰექტარი შაქრის ჭარხალი. და ეს შესაძლებლობას მოგვცემს ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით მივიღოთ 42 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით, ხოლო ას ჰექტარ სახნავზე 96 ცენტნერი ხორცი, ანუ 1 ცენტნერი ხორცი ერთ ჰექტარზე. ყველასათვის აშკარაა, რომ ეს არც ისე ბევრია, ეს არ არის იოლი ამოცანა, მაგრამ მისი გადაჭრა შესაძლებელია. ყოველ ჰექტარ სახნავზე უნდა გავასუქოთ დაახლოებით ორი ღორი.

ღღემდე საქმე ეხებოდა ძროხის ხორცისა და ღორის ხორცის წარმოებას. მაგრამ მომავალში დიდძალ ხორცს ვაწარმოებთ ცხვრის, ბოცვრისა და ფრინველის ხორცის სახით. ეს კიდევ უფრო გაადიდებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობას.

მე მოვიყვანე საკვების მოთხოვნილების გაანგარიშებანი მხოლოდ ხორცის წარმოებისათვის. მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს საკვები რძის წარმოებისათვისაც. თუ გავითვალისწინებთ სარძეო მეცხოველეობის მოთხოვნილებას საკვებზე, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და სხვა საკვებ კულტურების ფართობი რამდენადმე გადიდდება.

საჭიროა, რომ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა მოახდინონ კონკრეტული გაანგარიშება თავიანთ მეურნეობებთან შეფარდებით. საჭიროა ფართო ფრონტით ვაწარმოოთ შეტევა ყამირზე ხორცის წარმოების გადიდებისათვის. და ამ შეტევაში ყამირი რაიონების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ. სწორია თუ არა ეს, ამხანაგებო?

ხმები. სწორია! **(ტაში).**

ჩვენ პირველ ეტაპზე ყამირის მეურნეობათა წინაშე ესახადით მთავარ ამოცანას — აეთვისებინათ ყამირი და მიეცათ იაფი მარცვლეული ჩვენი ქვეყნისათვის. ეს ამოცანა საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა კარგად შეასრულეს. ყამირმა მიწებმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვეკმაყოფილებინა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებანი სასურსათო მარცვლეულზე. **(ტაში).** ყველაზე იაფ მარცვლეულს სახელმწიფო ყამირი მიწებიდან იღებს. საკავშირო მარცვლეულის ყველაზე დიდი გამოსავლიანობა აგრეთვე ციმბირისა და ყაზახეთის, ურალის, ვოლგისპირეთის ახლად ათვისებულ მიწებზე. მაგრამ ახლა, ამხანაგებო, არ შეიძლება ცალმხრივად ვაწარმოოთ ყამირზე მხოლოდ მარცვლეულის მეურნეობა. ყამირ მიწებზე მარცვლეულის წარმოებასთან ერთად აუცილებლად უნდა ვავითარებდეთ მეცხოველეობას. ცალმხრივ მიმართულებას სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეუძლია სერიოზული ზარალი მიაყენოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

ყველასათვის ცნობილია, რომ მეურნეობებში, რომლებსაც მარცვლეული მოჰყავთ, ყოველთვის არის მარ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

წესრიგი, უზრუნველყოთ მიწების უფრო დიდი ნაყოფიერება, რათა ჩვენმა ქვეყანამ ყამირზე მიიღოს მარცვლეულიც და მეცხოველეობის პროდუქტებიც. **(ტაში).**

თუ ძველ მიწებზე და ყამირზე უფრო სრულად გამოვიყენებთ ხორცის წარმოების გადიდების მთელ რეზერვებსა და შესაძლებლობებს, შეიძლება მნიშვნელოვნად დავაჩქაროთ იმ ამოცანის გადაჭრა, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ.

ეს დამოკიდებულია კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებზე, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებზე, პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებზე. და როცა მივაღწევთ დასახულ მიზანს, მაშინ მოვიპოვებთ შესანიშნავ გამარჯვებას, რომლის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ. რას ნიშნავს გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცისა და რძის წარმოების მხრივ? ეს ნიშნავს მთელ მსოფლიოს დავანახვოთ რომ ხალხს, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება, შეუძლია მოკლე ვადაში გადააქციოს თავისი ქვეყანა ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყანად, განავითაროს თავისი ეკონომიკა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, თავისი მეცნიერება და კულტურა, შეუძლია მიაღწიოს ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის დონეს და ამით სახელი გაუთქვას თავის წყობილებას, სოციალიზმის წყობილებას.

კაპიტალიზმის ყველაზე შორსმჭვრეტელი იდეოლოგები უკვე წინასწარ ხედავენ ამას და აშინებთ ის, რომ სოციალისტური წყობილება უახლოეს დროშივე გადაჭრის ამ ეკონომიურ ამოცანას. მაგრამ ეს ჩვენი წინსვლის გარდუვალი კანონია. კაპიტალიზმი ვერ შეაჩერებს ამ მოძრაობას, ვერ შეაჩერებს საბჭოთა ქვეყნის, მისი ეკონომიკის განვითარებას. იმპერიალისტებმა შეიძლება სცადონ შეაჩერონ საბჭოთა ეკონომიკის განვითარება ომის გზით. მაგრამ ომის გზას რომ დაადგნენ ეს ნიშნავს დასაღუპავად გასწორონ კაპიტალისტური წყობილება. საბჭოთა კავშირს აქვს ყველაზე მძლავრი რაკეტული ტექნიკა მსოფლიოში, დაამზადა იმდენი ატომური და წყალბადის ბომბი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ პირისაგან მიწისა აღგავოს აგრესორები, თუ ისინი შეეცდებიან ომის გზით გადაჭრან ორი მსოფლიო სისტემის იდეოლოგიური, პოლიტიკური დავა. **(მჭუხარე ტაში).**

საბჭოთა ხალხს შეუძლია გაბედულად უყუროს მომავალს და გადაჭრას თავისი დიადი ამოცანები. გვჯერა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი სოციალისტური ქვეყანა დაამარცხებს კაპიტალიზმს მშვიდობიანი შეჯიბრების ყველა ფრონტზე.

ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს სურთ, რომ ამ გამარჯვებას რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ. როცა ასეთ გამარჯვებას მოვიპოვებთ, კმაყოფილი ვიქნებით იმიტომ, რომ გაიმარჯვა ჩვენმა მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ, რომ ასეთი გამარჯვების შედეგად საბჭოთა ადამიანები მიიღებენ ყველა მატერიალურ დოვლათს, იცხოვრებენ კიდევ უფრო ბედნიერად. **(ტაში).**

კომუნიზმის გამარჯვება ნიშნავს ეკონომიკის უმაგალითო აღმავლობას, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებას, ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებას. რა შეიძლება იყოს უფრო დიადი, რომელი იდეალი შეიძლება იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ის მისწრაფება, რომ შევუქმნათ უკეთესი ცხოვრება ადამიანს! **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება

ამხანაგებო! ცალკე უნდა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ საჭიროა შევამციროთ ხორცისა და რძის წარმოების თვითღირებულება. 1960 წელს ცენტნერი ძროხის ხორცისა და ღორის ხორცის თვითღირებულება ურალის საბჭოთა მეურნეობებში საკმაოდ მაღალი იყო. მოვიყვან ციფრებს, რომლებიც გვიჩვენებენ ცენტნერი ღორის ხორცისა და ძროხის ხორცის თვითღირებულებას (ფასების ახალი მასშტაბით):

	ძროხის ხორცი	ღორის ხორცი
უდმურტეთის ასსრ	74 მან. 48 კაპ.	100 მან. 41 კაპ.
პერმის ოლქი	72 მან. 30 კაპ.	116 მან. 02 კაპ.
სვერდლოვსკის ოლქი	80 მან. 05 კაპ.	110 მან. 06 კაპ.
კურგანის ოლქი	70 მან. 40 კაპ.	110 მან. 03 კაპ.
ჩელიაბინსკის ოლქი	74 მან. 80 კაპ.	131 მან. 05 კაპ.
ბაშკირეთის ასსრ	70 მან. 40 კაპ.	125 მან.
ორენბურგის ოლქი	68 მან. 80 კაპ.	110 მან. 20 კაპ.

დაუფიქრდით, ამხანაგებო, ამ ციფრებს. რით აიხსნება ასეთი მაღალი თვითღირებულება? კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საკვები კულტურების დაბალი მოსავალი მოჰყავთ. ამის შედეგად აწარმოებენ ძვირად ღირებულ საკვებს. თქვენში ჯერ კიდევ მეტად სუსტია მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, იყენებთ ბევრ ხელის შრომას. აქ ძალიან კარგად გამოვიდნენ მეღორეები, რომლებმაც მიაღწიეს იმას, რომ ერთ წელიწადში პირდაპირ გაანახევრეს ღორის ხორცის თვითღირებულება. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ნელა ინერგება პირუტყვის შენახვისა და გასუქების მოწინავე მეთოდები..

უნდა შევამციროთ პროდუქტების საცალო ფასები, რათა მშრომელმა შეძლოს ერთი და იმავე მანეთით მეტი პროდუქტები იყიდოს. მაგრამ ამას მივაღწევთ, თუ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეამცირებენ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას. ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ერთ-ერთი ძირეული საკითხია. თქვენ, კოლმეურნეებს, გსურთ, რომ შემცირდეს სამრეწველო პროდუქციის ფასები, მუშებს კი სურთ, რომ შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები. მუშები ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას და ამით ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას, იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ შემცირდეს სამრეწველო საქონლის ფასები. თქვენც ასევე უნდა განახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პერმის ოლქის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის საკითხი. ეს ოლქი დიდი სამრეწველო ოლქია. აქ მრავალი ათასი მეტალურგი, მეშახტე, ქიმიკოსი, მანქანათმშენებელი შრომობს. პერმის ოლქის მუშები შრომის კარგ ნიმუშებს გვიჩვენებენ. დიდი ამოცანები დგას ოლქის სოფლის მეურნეობის წინაშე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ხორცზე, რძეზე, ბოსტნეულზე, კარტოფილსა და სხვა პროდუქტებზე.

მაგრამ ამ ამოცანას არადამაკმაყოფილებლად წყვეტენ. პერმის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ას ჰექტარზე გაანგარიშებით 1960 წელს წარმოებულია: ხორცი (დაკლული წონით) — 11 ცენტნერი, რძე — 83 ცენტნერი.

ას ჰექტარ მიწაზე ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰყავთ 4,6 ძროხა. როცა ამდენი ძროხა გყავს, რძეს კოვზით ვერ მიირთმევ, სადგისით უნდა ჭამო. **(გამოცოცხლება დარბაზში).** იცით, ასე სოფლად წინათ ამბობდნენ, რადგანაც გლეხს ძროხის საკვებად უმთავრესად ჭვავის ჩალა ჰქონდა, ხოლო როცა ძროხას შვრიის ჩალას აძლევდა, ეს რაღაც ზეიმის მაგვარი იყო ძროხისათვის. რასაკვირველია, ჭვავის ჩალით ნაკვები ძროხა ბევრს ვერ მოიწველიდა. აი ამიტომაც ამბობდნენ, ზამთრობით რძეს სადგისით ჭამენო. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

პერმის ოლქი, რომელსაც გაცილებით უფრო მეტი მიწა აქვს, ვიდრე მეზობელ სვერდლოვსკის ოლქს, ნაკლებ ხორცსა და რძეს აწარმოებს. პერმის ოლქში დაბალი მოსავალი მოჰყავთ. 1960 წელს ჰექტარზე მიღებულია: მარცვლეული — 8,1 ცენტნერი, სასილოსე სიმინდი — 66 ცენტნერი, კარტოფილი — 69 ცენტნერი. ასეთი მოსავლით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პირუტყვის სულადობას ვერ გაადიდებენ. ოლქს ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან შეაქვს ათასობით ტონა ხორცი და რძე.

რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა დახმარება უნდა გაუწიონ პერმის ოლქის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში. პერმის, ბერეზნიკის მუშები, კიზელისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მაღაროელები საკმარისად უნდა მოვამარაგოთ საჭირო პროდუქტებით. **(ტაში).**

ვერაფრით ვერ გავამართლებთ ხორცისა და რძის წარმოების დაბალ დონეს ჩელიაბინსკის ოლქში. 1960 წელს ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ას ჰექტარზე წარმოებულია: ხორცი (დაკლული წონით) — 7,6 ცენტნერი, რძე — 74 ცენტნერი. არ შეიძლება ასე გავუძღვეთ მეურნეობას, ამხანაგო ჩელიაბინსკელებო. კი არ უნდა ვვოხრავდეთ და ვვიშვიშებდეთ, არამედ საქმის ცოდნით ვხელმძღვანელობდეთ სოფლის მეურნეობას. თუ პარტიამ, ხალხმა მოგანდეს პასუხსაგები საქმე, — გაამართლე ეს ნდობა. საქმე გიკისრია, შეასრულე კიდევაც. ჩვენში პარტიამ აღზარდა ასეულ ათასობით შესანიშნავი ადამიანი, ნამდვილი მებრძოლი, რომლებიც მზად არიან მწყობრში ჩადგნენ და იბრძოლონ უფრო აღალი მაჩვენებლებისათვის. **(ტაში).**

ჩელიაბინსკის ოლქი ჩვენი ქვეყნის მსხვილი სამრეწველო ცენტრია. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ განუწყვეტლივ ვაუმჯობესებდეთ მოსახლეობის მომარაგებას, უფრო მეტს ვაწარმოებდეთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებს. ოლქში ას ჰექტარზე გაანგარიშებით ხორცისა და რძის წარმოების დღემდე არსებული დაბალი დონე ჯერ კიდევ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ჩელიაბინსკელებმა სწრაფი ტემპებით აითვისეს ყამირი მიწების დიდი მასივები. მაგრამ ეს გუშინდელი დღეა, ახლა კი მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ მეცხოველეობის განვითარებას.

რამდენიმე სიტყვა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის შესახებ, კომპლექსური ბრიგადების შესახებ. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, შრომისა და წარმოების სწორი ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვანი პირობაა შევქმნათ კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც მემინდვრეობასთან ერთად ეწევიან მეცხოველეობასა და საკვების წარმოებას.

კურგანის ოლქის ბაქსარის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს ა. ფ. ტიხონოვის კომპლექსური ბრიგადა. 1960 წელს ბრიგადამ 2.240 ჰექტარი ფართობის ჰექტარზე მიიღო 19 ცენტნერი მარცვლეული. ცენტნერი მარცვლეულის თვითღირებულებამ შეადგინა 1 მან. 90 კაპ. (ახალი ფულით). სულ ბრიგადაში მუშაობს 27 კაცი. თვითეული მათგანი დაეუფლა ორ-სამ პროფესიას. ზაფხულში ტრაქტორისტები მუშაობენ მინდვრად, ხოლო ზამთარში დასაქმებული არიან ფერმაში. 1960 წელს ბრიგადის თვითეულ მომუშავეზე წარმოებული იყო 9.711 ფუთი მარცვლეული.

ეს განსაკუთრებით საინტერესო გამოცდილებაა, ამხანაგებო, ასეთ მაგალითს უნდა მივბაძოთ, ამბ. ტიხონოვის ბრიგადის გამოცდილება ფართოდ გავრცელების ღირსია. კომპლექსური ბრიგადების სახით გამონახულია შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმა.

კომპლექსური ბრიგადების წარმოშობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარების კანონზომიერი პროცესია. როცა კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მაშინ მიწას ჰყავდა ორი პატრონი, იყო ორი შტატი: მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორთა ბრიგადის შტატი და კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის შტატი. ახლა ტექნიკა კოლმეურნეობებს მიეყიდა. მაშასადამე, ახლა უნდა მიმდინარეობდეს ისეთი პროცესი, რომ შევამციროთ მმართველობის აპარატი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ზოგჯერ იმდენი პორტფელია კაცი დადის, რომ ჩექმის ყელისაგან პორტფელს კერავენ, მაგრამ მაინც პორტფელი აქვთ ამოჩრილი იღლიაში სოლიდურობისათვის. **(ტაში).**

საჭიროა მოვსპოთ ყოველგვარი ზედმეტობა, რათა ადამიანები მეტს მუშაობდნენ მატერიალურ ფასეულობათა წარმოებაზე. მხარი უნდა დავუჭიროთ შრომის ორგანიზაციის ახალ ფორმებს, რომლებიც მასებში წარმოიშობა და ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ უკეთ მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

ამხანაგო კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო! მინდა გამოვთქვა აზრი ერთ საკითხზე და წინასწარ გთხოვთ სწორად გაიგოთ ჩემი ნათქვამი. მე მივესალმები მოწინავეებს, მახარებს წარმატება მწველავებისა, რომლებიც წელიწადში თითო ძროხაზე იღებენ 4-5-6 ათას ლიტრ რძეს. მაგრამ ბევრი მათგანი ამ წარმატებას აღწევს მძიმე ხელის შრომით, წველის სულ ბევრი 10-12 ძროხას. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ შევუმსუბუქოთ შრომა მწველავებს, განვახორციელოთ მისი მექანიზაცია. საჭიროა ნათლად შევიგნოთ, რომ მომავალი ეკუთვნის იმათ, ვინც შემოიღებს მექანიზებულ წველას, ვინც მომსახურებას გაუწევს 100-150 ძროხას, მოწველის ორჯერ დღეღამეში. მიიღებს, შესაძლებელია, 2.500-3.000 ლიტრ რძეს წელიწადში, მაგრამ ნაკლები კონცენტრატების დახარჯვით. ორნახევარი-სამი ათასი ლიტრი რძის მიღება შეიძლება სილოსის მასით. ეს იქნება ყველაზე იაფი რძე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ისწავლეთ, ამხანაგებო, სარძეო მეურნეობის წარმოება კარგი სილოსით, ნუ გაგიტაცებთ მხოლოდ რეკორდები. როცა მიზნად ისახავთ რაღაც უნდა დაჯდეს მიიღოთ 5-6 ათასი ლიტრი რძე თითო ძროხაზე, მაშინ იძულებული იქნებით ძროხას აძლიოთ ბევრი კონცენტრირებული საკვები, როგორც იტყვიან, თითქმის შოკოლადით კვებოთ. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

საჭიროა თუ არა ეს? არა, ამხანაგებო. ჩვენ გვჭირდება არა მარტო ბევრი რძე, არამედ გვჭირდება იაფი რძის წარმოება.

ზოგიერთი იტყვის, როცა წველადობა 2.500-3.000 კილოგრამია, ჯოგში მეტი ძროხა უნდა გვყავდესო. დიახ, ძროხა, ცხადია, უნდა გვყავდეს მეტი და ამას უნდა ვესწრაფოდეთ.

ახლა მეტ წილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ას ჰექტარზე 5-10 ძროხაა, ხოლო უნდა მივიდეთ ისეთ ნორმამდე, როცა ძროხის წველადობა 2.500-3.000 ლიტრი იქნება, ას ჰექტარ მიწაზე კი დაახლოებით 28 ძროხა გვეყოლება. აი მაშინ იქნება იაფი რძე, და მწველავის შრომაც მექანიზებული წველის დროს უფრო ადვილი გახდება.

ზემონათქვამი ეხება არა მარტო სარძეო მეურნეობას. არამედ აგრეთვე მეღორეობას, მეფრინველეობასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებს.

ნუ გეწყინებათ, ამხანაგო მეცნიერო მეცხოველეებო. მაგრამ თქვენ ზოგ რამეში დააბნიეთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მეცხოველეობის ორგანიზაციისა და პირუტყვის მოვლა-შენახვის საკითხების გადაჭრის დროს. **(ტაში).**

ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის რეკომენდაციით მეცხოველეობის კულტურულად წარმოების ალმით კოლმეურნეობებმა დაიწყეს პირუტყვის მოთავსება ცალკე სადგომებში, ძროხები მიაჯაჭვეს ბაგას, თითქოს მათ დანაშაული მიუძღოდეთ. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ღორებიც ცალკეულ გალია-კამერებში ჩაამწყვდიეს. ეს არაფრით არ შეიძლება ავხსნათ, ეს რაციონალური არ არის და ეკონომიურად გაუმართლებელია. ამიტომ სწორად იქცევიან მეღორეები, როცა შლიან ტიხრებს საღორეებში, სადაც მოთავსებულია გასასუქებელი სულადობა. ღორს, როგორც იტყვიან, თავისი ხასიათი აქვს. თუ სადგომში რამდენიმე ღორია, არასოდეს არ დაწვებიან ერთმანეთისაგან დაშორებით, ერთმანეთის ახლოს წვებიან. ზოგიერთ მეცნიერს კი, როგორც ჩანს, მიაჩნდა, რომ ეს არ არის ჰიგიენური ღორისათვის, და ამიტომ თვითეული ღორი ცალკე გალაში დაამწყვდიეს. **(გამოცოცხლება დარბაზში).** გამოდის, რომ ღორს მოაკლეს ღორული სიამოვნება. **(სიცილი დარბაზში).**

ძროხებს მსხვილ მეურნეობებში წინათ არასოდეს არ აბამდნენ, ათავსებდნენ საერთო ეზოში, ბაკის წინ იყო შემოღობილი გამოსამშვები, სადაც ძროხები ზამთარშიც ჰაერზე გადიოდნენ.

მაშ რატომ არის, რომ ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველ ძროხას [illegible] უდგამენ ცალკე სარწყულებს, [illegible] ჰიგიენას ქმნიან, რომ ძროხა გაკვირვებული რჩება.

ამ მხრივ სერიოზული შეცდომა ჩაიდინა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. იგი ცუდად ხელმძღვანელობდა საკვლევი ინსტიტუტების მუშაობას, უკონტროლოდ იხარჯებოდა სამეცნიერო მიზნებისათვის გამოყოფილი ფული. ახლა კი ბევრი რამ გადასაკეთებელია. მაგრამ [illegible] უფრო მალე გამოვიყენებთ პირუტყვის მოვლა-შენახვის უფრო ეკონომიურ მეთოდებს. მით უფრო მალე გავადიდებთ ხორცისა და რძის წარმოებას, შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას. **(ტაში).**

კარგად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის!

ამხანაგებო! სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში წარმატება რომ მოვიპოვოთ, საჭიროა ყველგან კარგად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის და ორგანიზებულად ჩავატაროთ იგი საუკეთესო ვადებში. ეს ამჟამად სავსებით გადაუდებელი და უმნიშვნელოვანესი საქმეა. საჭიროა მოვამზადოთ კადრები, ვასწავლოთ მათ მუშაობის მოწინავე წესები. მოსავალი ბევრად არის დამოკიდებული თესლის ხარისხზე. ამიტომ საჭიროა არ დავკარგოთ არც ერთი დღე, მოვამზადოთ თესლი, შევამოწმოთ მისი აღმოცენების უნარი.

მთელი ტექნიკა სავსებით უნდა მოვამზადოთ. დროულად შევაკეთოთ ტრაქტორები, სათესი მანქანები, შევამოწმოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების ხარისხი — ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრად უზრუნველყოთ მინდვრის სამუშაოების მოკლე ვადებში და მაღალ დონეზე შესრულება.

ერთი სიტყვით, საჭიროა არა ზოგადი ლაპარაკი, არამედ კონკრეტული მუშაობა თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ რაიონში. პარტიამ მოგვიწოდა გავაჩაღოთ ბრძოლა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. საჭიროა, რომ ყველა ჩვენმა მუშაკმა ღრმად შეიგნოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების დიდი მნიშვნელობა.

იქ, სადაც ეს საჭიროა, უნდა განვამტკიცოთ კადრებით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. გამარჯვება შეიძლება მოიპოვონ ენერგიულმა, შეუპოვარმა, პარტიის ერთგულმა, თავისი საქმის კარგად მცოდნე ადამიანებმა, უნარიანმა ორგანიზატორებმა. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ ქალაქებიდან წავიდა ბევრი კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო. ამრიგად, დიდი დახმარება გაეწია სოფელს.

ზოგიერთ ოლქსა და რესპუბლიკაში ახლაც იგრძნობა კადრების საჭიროება. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ და კიდევაც უნდა დავეხმაროთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კადრებით. მხარი უნდა დავუჭიროთ მოსკოვის კომკავშირელთა კარგ თაოსნობას, რომლებიც კომკავშირული საგზურებით მიდიან მუდმივ სამუშაოზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

აქ კარგად გამოვიდა კომკავშირის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის მდივანი კ. გ. ტუხვატულინა, რომელმაც მოგვითხრო, თუ როგორ მონაწილეობენ ბაშკირეთის კომკავშირელები სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის კონკრეტული ამოცანების გადაჭრაში, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, სიმინდისა და სხვა კულტურების მოყვანაში.

ქალაქელმა კომუნისტებმა, კომკავშირელებმა სოფლის მეურნეობისადმი დახმარება უნდა მიიჩნიონ თავიანთ ღვიძლ და საპატიო საქმედ. მთელ ხალხთან ერთად ჩვენი ახალგაზრდობა თავდადებით შრომობს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ახლანდელ ახალგაზრდა თაობას წილად ხვდა ბედნიერება აშენოს კომუნიზმი და იცხოვროს კომუნისტურ საზოგადოებაში. ამიტომ ახალგაზრდობა გატაცებით უნდა ებმებოდეს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. **(ტაში).**

არ შეიძლება არისტოკრატულად ვეკიდებოდეთ სოფლის მეურნეობას. ქალაქელი კომუნისტები ყოველდღიურად ძმურ დახმარებას უნდა უწევდნენ სოფლის მეურნეობას. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ კოლმეურნეობას მისცე საწველი აპარატი ან შეაკეთო ეს აპარატი, მოუწყო კიდული გზა და ასე შემდეგ. ნამდვილად ეხმარებოდე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს — ეს ნიშნავს ყოველდღიურად გაინტერესებდეს მათი მუშაობა, ხშირად იყო სოფლად, იცოდე საზოგადოებრივი წარმოების საჭიროებანი, ეხმარებოდე სიძნელეთა გადალახვაში და მეურნეობის ისე მოწყობაში, რომ იგი განუწყვეტლივ წინ მიდიოდეს, წარმატებას წარმატებაზე აღწევდეს. **(ტაში).**

აქ ზოგიერთმა ამხანაგმა ილაპარაკა მექანიზატორ ტრაქტორისტთა და კომბაინერთა კადრების ნაკლებობაზე. და ამას ამბობენ თქვენში, მაღალგანვითარებული მრეწველობის რაიონებში. რა გიღირთ შეარჩიოთ კარგი ადამიანები — ზეინკლები და სხვა კვალიფიციური მუშები, ასწავლოთ მათ და გაგზავნოთ სამუშაოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კომბაინერები იმუშავებდნენ მოსავლის აღების დროს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ხოლო დანარჩენ დროს — ქარხნებში. ტრაქტორისტები უნდა გამოვყოთ ადგილზე — სოფლებში. თქვენ ხომ გყავთ ბევრი ახალგაზრდობა, რომელსაც კარგი მომზადება აქვს. ასეთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შეუძლიათ სწრაფად აითვისონ ტექნიკა. თქვენს რაიონებში შეიძლება ათასობით ტრაქტორისტი მოინახოს. საოლქო და რესპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები სერიოზულად უნდა მოეკიდონ ამ საქმეს.

მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს. თადარიგში დათხოვილმა ბევრმა ოფიცერმა და გენერალმა გამოთქვა სურვილი იმუშაოს სოფლის მეურნეობაში. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში შემოსულ წერილებს შორის ამოვარჩიე ერთი დამახასიათებელი წერილი ამ საკითხზე და მინდა წაგიკითხოთ.

აი თადარიგის პოდპოლკოვნიკის ა. ლ. ანტონოვის წერილი. წერილში ნათქვამია:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, საოლქო თათბირები, აგრეთვე ყველა გამოსვლა პლენუმებსა და თათბირებზე ცხადყოფენ, რომ საბჭოთა ხალხი იწონებს პარტიის ღონისძიებებს. სოფლის მეურნეობა ამჟამად იქცევა მოწინავე ხაზად კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

ამ მოწინავე ხაზზე გამარჯვების უზრუნველსაყოფად უწინარეს ყოვლისა საჭიროა კარგი, სქმის ერთგული, პატიოსანი კადრები, რომლებსაც აქვთ ცხოვრების გამოცდილება, ორგანიზატორული ნიჭი და საჭირო ცოდნა. ძველი კადრები აშკარად არასაკმარისია, ვინაიდან მათი ნაწილი უნდა გამოიცვალოს, ხოლო გარკვეული ნაწილი მწყობრიდან გამოდის ასაკის გამო.

არის ერთი ძალიან სერიოზული რეზერვი, საიდანაც ჩვენს ქვეყანას შეუძლია საკმაო რაოდენობით მიიღოს საჭირო კადრები სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ. მხედველობაში მყავს უფროსი ოფიცრები, რომლებიც თადარიგში არიან დათხოვნილი შეიარაღებული ძალებიდან და რომლებსაც ახლაც ითხოვენ 1960 წლის 15 იანვრის კანონის შესაბამისად, მათი ასაკია დაახლოებით 35-37 წლიდან 40-42 წლამდე.

ამ დათხოვნილ ოფიცრებს — მაიორებს, პოლკოვნიკებს შორის ძალიან ბევრია კარგი, განსაკუთრებით პატიოსანი და პარტიისა და ხალხის ერთგული ადამიანები, რომლებსაც აქვთ კარგი ორგანიზატორული ნიჭი, საკმარისი განათლება (მათს უმრავლესობას აქვს ორ-ორი საშუალო განათლება, ხოლო ხშირად უმაღლესიც), აქვთ ცხოვრების გამოცდილება.

ამ ადამიანებს არ ჰყოფნით მხოლოდ ერთი რამ — სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლების ცოდნა. მათ რომ მივცეთ შესაბამისი, მაგალითად, წლიური მომზადება, ისინი ჩვენს ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანენ.

თადარიგში დათხოვნილთა აბსოლუტური უმრავლესობა კომუნისტები არიან. ყველა მათგანმა ყურადღებით შეისწავლა და სწავლობს ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მასალებს, და ბევრს სურს მიიღოს მონაწილეობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, მაგრამ მათს სურვილს ბოჭავს თანამედროვე სოფლის მეურნეობის სირთულე და მისი წარმოების საფუძვლების უცოდინარობა.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ჩემზე. მე თადარიგის პოდპოლკოვნიკი ვარ, 40 წლისა ვარ. მთელი ომი ფრონტზე გავატარე, ვიყავი მძიმედ დაჭრილი, პარტიის წევრი ვარ 1942 წლიდან, მაქვს ზოგადი საშუალო, საშუალო სამხედრო განათლება და დავამთავრე ერთწლიანი აკადემიური კურსები. ჯანმრთელი ვარ. დათხოვნილი ვარ სახალინიდან 1960 წლის აგვისტოში. ენერგია ბევრი მაქვს. მატერიალურად კარგად ვარ უზრუნველყოფილი — ვიღებ პენსიას და ახლა ვმუშაობ ავიამუშაკთა პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარედ (ამირჩიეს). ადამიანები კმაყოფილი არიან ჩემი მუშაობით, მაგრამ მე ეს მუშაობა ნაკლებად მაკმაყოფილებს.

როცა დიდი სერიოზული ლაპარაკი დაიწყო სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე — სურვილი აღმეძრა ვყოფილიყავი იქ, ჩვენი პარტიის ბრძოლის მოწინავე ხაზზე, რადგან ყოველთვის მიმაჩნდა თავი პარტიის ჯარისკაცად. თუმცა წარმოშობით სოფლიდან ვარ, მაგრამ რამდენადმე მბოჭავს იმის შიში, რომ ბევრი დრო უნდა მოვანდომო იმას, რომ სავსებით ვიყო საქმის კურსში. და, ვფიქრობ, ასეთი ადამიანები ბევრია.

ვთხოვ ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს განიხილონ ის საკითხი, რომ მოეწყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელი ერთწლიანი კურსები ან აკადემიები ოფიცერთა უფროსი შემადგენლობისათვის, რომლებიც დათხოვნილი არიან თადარიგში და სურთ იმუშაონ სოფლის მეურნეობაში.

ამ კურსებისათვის შერჩევა შეიძლება დაეკისროთ პარტიის საოლქო კომიტეტებს, რათა კურსებზე არ მოხვდნენ შემთხვევითი ადამიანები, რომლებსაც არა სურთ სამუშაოდ წასვლა ძნელ უბანზე.

მინდა კურსების პროგრამაში მეტი იყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კონკრეტული ეკონომიკა და მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში სამუშაოთა ორგანიზაციის პრაქტიკა.

კარგი იქნება, რომ კურსებზე ლექციები წაიკითხონ ამხანაგებმა ლისენკომ, იურიევმა, მალცევმა და ცენტრალური კომიტეტის აპარატისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროთა ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

ა. ანტონოვი.

ქ. ჩერნიგოვი“.

ეს, ამხანაგებო, ძალიან კარგი წერილია. წერილში წამოყენებულია დიდი და მნიშვნელოვანი საკითხი. ჩვენ გავითვალისწინებთ ამ სურვილებს.

ამხანაგებო! თათბირებზე ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვის შესახებ, საუბრებსა და წერილებში ხშირად ექცევა ყურადღება იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ეს სწორია.

მთელ რიგ რაიონებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში საკმაო კონტროლი არ ეწევა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. საჭიროა დავაწესოთ მკაცრი კონტროლი თავიდან ბოლომდე. ეს კონტროლი უნდა იყოს არა ქაღალდზე, არამედ ცოცხალი, ქმედითი, საქმეები შემოწმდეს ადგილებზე. საჭიროა მკაცრად ვსჯიდეთ იმ მუშაკებს, რომლებიც არ ასრულებენ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებს, კონტროლის გაძლიერებასა და შესრულების შემოწმებისათვის მთელ მუშაობაში საჭიროა ვეყრდნობოდეთ კომუნისტებს, მშრომელთა ფართო მასებს.

მეტი ყურადღება ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას